


ლიტერატურული გაზეთი

№ 12 16-29 თებერვალი 2009

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



„ყველა ტკივილი იძინებს ბოლოს...“

შენ არსად წასულხარ!

შენი სიცოცხლე ქართული სულიერების განუყოფელი და უკეთილშობილესი ნაწილია.

ქართველი ერი მხოლოდ შენ კი არ მიგაცილებს, არამედ ჩვენი ლექსისა და პროზის საყრდენს ეთხოვება.

შენ არსად წასულხარ, აქ იქნები, სანამ შენს სამშობლოში ქართულად კითხვა ეცოდინება ვინმეს და ჭეშმარიტი ლიტერატურისადმი ინტერესი იქნება უცხოეთში.

მშვიდობით, ძმაო!

შენი ნიჭის, მამულიშვილობის ნამდვილი ფასის უცდომლად დამფასებელი თვალცრემლით გმორდება.

ჭაბუა ამირაჯიბი

უმაღლესი ინსტანცია

ოთარ ჭილაძე ქართულ მწერლობას უმაღლეს ინსტანციად მიიჩნევდა. იგი დიდი ენერჯითა და თავგანწირვით მუშაობდა იმისათვის, რომ ერთ-ერთი პირველთაგანი ყოფილიყო. სამაგალითოა მისი შრომისმოყვარეობა და ენერჯია, მისი ნიჭიერება საყოველთაოდაა ცნობილი და სამწუხაროა, რომ იგი ასე ადრე დაგვმორდა.

თამაზ ჩხენკელი

გზაზე ერთმა კაცმა გაიარა

პირველი რომანის გამოქვეყნების შემდეგ ოთარ ჭილაძე ლექსებს იშვიათად წერდა. ამ რამდენიმე

წლის წინათ „მნათობში“ ოთარის ახალი ლექსები წავიკითხე და ერთხელ კიდევ დამწყდა გული: ალბათ ორი ოთარ ჭილაძე უნდა გვყოლოდა, ერთს რომანები ეწერა და მეორეს - ლექსები.

ოთარ ჭილაძის ყოველი სტრიქონი, ყოველი რომანი უმკაცრეს მოლოდინებს ამართლებდა.

ამქვეყნიურ მაცდურ წვრილმანებს გაერიდა და სხვა საუკუნის მოქალაქესავით იცხოვრა.

მეამაყება, რომ ჩვენი უნივერსიტეტის „პოეტების ჯგუფიდან“ - გზაზე ერთმა კაცმა გაიარა და მთანმინდაზე ავიდა.

P.S. ახლახან ზაზა ჭილაძის მიერ თარგმნილი კენ კიზის რომანი წავიკითხე: ოთარ ჭილაძემ არა მარტო ოთარ ჭილაძის საშვილიშვილო ტექსტები დაგვიტოვა.

ვახტანგ ჯავახიძე

წილხვედრი სინათლე...

იუნყებოდნენ, ოთარ ჭილაძე სამოცდათექვსმეტისა გარდაიცვალაო, მაგრამ...

დიდი ელდისა თუ ათასგვარი ძნელბედობის გადატანისას, დიდი ომისა თუ დიდი საქმის გასრულებისას, იტყვიან ხოლმე, მთელი სიცოცხლე გავათავო... მისი ყოველი რომანი აკი მისივე ცხოვრების დროში განფენილი ის ნაწილია, რომელიც წელთა სიმრავლითა თუ სიმცირით არ განისაზღვრება და მისი ათვლა ამიერიდან „უამთალმწერლის“ საქმედ იქცევა...

ჩემო ოთარ, შენთვის ერთი ღმერთია, ესე იგი ჭეშმარიტება, ესე იგი სიყვარული...

მე ისიც ვიცი, საიდუმლო ზარდახშის მფლობელიც რომ ხარ, სადაც მაღალი სინჯის „ამლები“ ბეჭედ-იც გაქვს და საკუთარი ხელით ჩამოსხმული გასალე-

ბიც... რომლითაც სამშობლოს ოთხივე მხარეს კარიბჭეებს ხსნიდი და თვალსაწიერსა და ფიქრსაწიერს ასე იფართობდი; ასე დაეუფლე მშობლიურ სივრცეებს და მის სამანებსაც გასცდი.

კაცური კაცი იყავ, გონიერი.

წვრილმანებზე არასოდეს დახარჯულხარ.

მთელი ენერჯია, რაც ბედისწერით ღმერთმა გარგუნა, მწერლობას შეაღიე.

ადრე დაქვრივებული, უღლის მენყვილის გარდაცვალების შემდეგ მარტო ეწეოდი ჭაპანს...

კლინიკური სიკვდილიდან გამობრუნებულები რალაც იმქვეყნიურ თვალისმოჭრელ სინათლეზე ლაპარაკობენ... მაგრამ შენ ის კაცი ხარ, საკუთარი წილხვედრი სინათლე ამქვეყნიდანაც რომ მიგაქვს.

გივი შაჰნაზარი

მარადიული თემებით აღსავსე

სკოლის პერიოდში მე და ოთარი პარალელურ კლასებში ვწავლობდით, ახლოს არ ვიყავით, მაგრამ ერთმანეთის დიდი პატივისცემა გვქონდა. სკოლის პერიოდშივე ჩამოყალიბებული პოეტი იყო. იმ დროს იშვიათად, ვინმეს რომ პოეტური გატაცებები ჰქონოდა. მაშინდელი დაწერილი ლექსები დღესაც ამშვენებს მის შემოქმედებას. დიდი მწერალი იყო, არ შეუნყვეტია შრომა. იშვიათობაა, მწერალი რომ ამდენს შრომობდეს. მისი შემოქმედება, მარადიული თემებით აღსავსე, ყოველთვის აქტუალური იქნება.

ზურაბ კიკნაძე

ანზორ აბულაშვილი

აიორად მოსვლა

ვინ ეთხოვება შატის თუ ნოსირს,
ვის მიაცილებს ქარი და თოვა...
თუ მას სჯეროდა მეორედ მოსვლის,
იგი უთუოდ მეორედ მოვა.

ხომ გადაგვყარა გასაჭირს ყოველს,
ვინც ჩემი ხვალის იმედიც მოსრა,
მაინც ქართველად თუკი არ მოველ,
არაფრად მიღირს მეორედ მოსვლა.

მარტის ცოდვა

გადამიფრინა ჟღერტულა მარტმა,
მქარგველმა შორი მინდვრის და ამ ტყის,
მე შენი გული მიფეთქასე მუჭში,
ვით შეშინებულ მწყერჩიტას ბარტყი.

მდულარე სისხლი ძარღვებში ბორგავს,
ცოდვის შემნდობი მამშვიდებს ლოცვა...
კვლავ ნაკვერჩხლდება მაგ შენს ბაგეზე
დამკვდარი ჩემი ათასი კოცნა.

ბალახტიონის გასხენება

გვათოვს ზამთრები,
უნაზესი ვარდები ჭენება,
თეთრმა აფთრებმა
ნეტავ ჯავრი ვისი იყარეს...
მაგრამ რად უნდა
მაისებსაც ამდენი ქება,
ამ პოეტებმა
ჭკუიდან რომ გადაიყვანეს.

ხომ იყო ისიც —
იისფერი უყვარდა თოვა,
ხომ იყო ისიც —
მარადისად გვემულ-ვნებული...
და მაინც მოვა გაზაფხული —
ნაშლილი გლოვა,
ათასი ვარდის
უმარილით შეზავებული.

კახეთი, ალაზნის ვალი

გრძნობა და გონი
დაატარებს ყველას თავისი,
მეც სწორედ ამა ორთა ნებით,
ანუ თანახმად,
ეს გომბორი რომ შეღებულა
აპრილ-მაისით,
შევმალღებულვარ იმის ქედზე
შენს დასანახად.

ლანდშაფტს მშობლიურს დაჰფენია
სილურჯე ბაცად,
სიტყვათა ღელე
სამკაულად რომელსაც ვწირე...
და თვალს მჭრის მზეში,
გაშლილ ველზე, დეფიზის ნაცვლად
მთა და ბარს შუა გავლელბული
ალაზნის ტირე.

დღეს მისი პოვნის იმედსაც ვკარგავ,
ჟამი უფმური სხვაც ხომ მქონია —
იქნება ჭკუის შემშლელიც, მაგრამ
ამ დღესთან ყველა მონაგონია.

გამშრალი ცრემლი ცრემლზე მეტია,
ლექსების ცრემლი ცეცხლზე ნავთია...
ვერცრად გულიდან ამომეტია,
ჩემი სიჩუმით რაც დამმართია.

ლამის ცას ავცქერ ნაღვლით აქამდი,
ვარსკვლავებით რომ გადაჭორფლილა...
დავკარგე?
მაგრამ რას დავკარგავდი,
არასდროს ჩემი რაც არ ყოფილა.

ჩემი ანკაბა

სანთლის ერთი ღვეთის გარდა,
გეტყვი, კიდევ მეტი რა ვარ —
ერთი ხარი ნიქარა და
ერთიც ნაცარქექია ვარ.

მაინც მმოსავს ჯაჭვის კვართი,
გზები კვლავაც დამხლართვია,
ეს ცხოვრება უკუდმართი
უსასრულო აღმართია.

ამიტომაც რის წვალეებით
ამგვარ ყოფას ვერქინებით, —
ჩვენი რქამძლე ნიქარებით,
ჩვენი ნაცარქექიებით.

ხშირად გული მკვნესარია
ძმისგან უღვთოდ ვნებულისა, —
მჯდომელისგან სუფრის თავში,
სახვეჭს დახარბებულისა.

მაგრამ ზოგჯერ გავალღებებით
შინ თუ გარე მტრის აკლებით,
ჩვენი დავით-ილიებით,
ჩვენი ვახტანგ-ირაკლებით.

მაინც მრჩება მშობლის ვალი,
დღემოკლე ვარ ტარიგვით,
შიშველი ვარ მეფესავით,
მდიდარი ვარ ღარიბივით.

მზეც კი სხვაგვარ აბრიალდა
ტანკენარი ალვის ხიდან,
ჩვენი "ვეფხისტყაოსნიდან"
ნესტანი რომ ამოსხივდა.

და შენც თვალი გკიდე ცისკარს,
მათ ორივეს ერთად ჰგავდი,
ტარიელი ვყოფილიყავ,
გონს უთუოდ დავკარგავდი.

ნაკადული

ველ-მინდვრებისკენ
ნაკადული რბის მომაისე,
ჟღერტულით ფრთები
მის სიგრილეს გაჰკრეს მერცხლებმა
და ცა დაჰხარის
ხელით თვისით ნახატ აისებს,
ძირს ნაკადული
ონავრულად მიივერცხლება.

ხოლო მიწურვილ ნოემბრისა,
გული რომ მიმძიმს,
მოაზარნიშებს იმ რუს ნაპირს
ჭირხლი ბროლივით,
მერცხლებნატრული ნაკადული
ოდნავლა იძვრის,
გამხმარ ბალახის სიყვითლისგან
მოოქროვილი.

წინამართან

წინამურის გზა —
სისხლიანი იგივე კრწანისი,
წინამურის გზა —
თვითმკვლევლობა, როგორც მარაბდა,
ზედაზნის მთებში
აქამდე იმ სროლის ხმა ისმის,
ყველა ტკივილი
წინამურთან დაპატარავდა.

და ის ქუხილი — ტყვია
გახდა მუზეუმის ტყვე,
დევის იგი უხმოდ
და სიკვდილის ცივი ციმციმით,
საქართველოში
ალბათ არცერთ გასროლილ ტყვიას
არ უჭამია
აგრერიგად მწარე სირცხვილი.

გაზაფხულის სიზმარი

დავიყოლიე ეს გაზაფხული,
რომ შუალამით ჩემს გამოგზავნილ
სიზმარს მოგიტანს აყვავილებულს,
რალა თქმა უნდა, ჩუმად და მალვით.

ძილში გაგიფენს შროშნებს ნამიანს,
იკისკისებენ ვერცხლის წყარონი,
ამბორგყოფს წმიდა გალობა, მესა,
თავისას გეტყვის თუშის გარმონი.

ფერების ზღვაში რძიან სიცილის,
ვიცი, ჩამორეკს სულ სხვა აკორდი, —
მაგ დედოფლური, ცისკროვან მზერის
საკადრი, ბერის გულის დამკოდი.

და აი, უცხოოდ მოსახილველი
ცის მიღმა უკვე გაკრთა სიზმარი,
ამ გაზაფხულის ხელით რომელსაც
შუალამისას გამოგიზავნი.

არასერიოზული ლექსი

ვინ დაითვლის დარეჯანებს,
დარეჯანთა მეტი რა გვყავს,
მაგრამ მათში ორი მიყვარს,
ჟამი მათზე ფიქრში გამყავს.

მოკლედ, ამა უთვალავში
იმ ორს ვეტრფი გამორჩევით,
სწეული ვარ მათგან დღემდე,
ვიცი, მერეც არ მოვრჩები.

რადგან მათთან სხვამ მიმასწრო,
მთხრობელს მე ამ ძველი ამბის:
ერთი — ტარიელისაა
და მეორე — ლუარსაბის.

მონანიება

ეს მერამდენედ, ჟამთა დინება,
კვლავაც მაისის წვიმა მანვიმე,
რა ლამესა და რა სიზმრებს მიმეც,
გამაჭაბუკე, გამაყმანვილე.

და ჩემი ცრემლის წვეთი ყოველი
უფლის კალთაზე მოვა იებად,
რადგან ეს ჩემი აღსარებაა
და ყველა ცოდვის მონანიება.

ავის მოლოდინი

ეს ქვეყანა კვლავ შვილთაგან
ნუთუ ხდება დასალუპი,
უიმედოს, უნუგემოს,
ცრემლი დამდის ღაპალუპით.

სისხლის ლაქებს დაუფარავს
ჩემი ორივე თვალის უბე —
ნუთუ მართლა ილუპება,
ნუთუ მართლა დავილუპე...

მარგალიტები

გჭვრეტდი სიტყვით დაუხატველს
და გალობა ვნების მესმა,
მივიად გესხა მარგალიტი
მაჯა-მკლავებ-ბროლის ყელსა.

სადაური სადა გპოვე,
სადაურმა სად მიხილე,
მზებნელსა და უსინათლოს
ორივე თვალი ამიხილე.


ახლა ემაგ გულში ვბუდობ
აფრენილი მეცხრე ცადო,
ზღვაში ვყვინთავ უძიროში
სულის ამოუთქმელადო.

მაგრამ ჟამიც თავზე მადგას
საუკუნო დაძინების —
ჩემისთანა ხელმოცარულ
მარგალიტის მაძიებლის.

დილა-პირიმა

ეს დანამული შროშანი შლილი
ამ სიცხადეში ღამის დამიზრა...
რა ბედენაა ისეთი ძილი,
თუ ნათლისღება არ დაგასიზმრა.

თუმც აკვანივით მიწა ირწევა,
მაინც თვალს ახელს დილა-პირიმა...
მაგრამ ისაა გამოღვიძება,
თუ სამოთხეში გამოიღვიძე.



ჯემალ ინჯია

თქვენ დემონის მონაფე ხართ,
არა წყნარი მთაში შველი.
ცა ჩამოდის როცა ფეხად,
ქუჩას მისდევთ თავშიშველი
და ამინდის მოსატეხად
არ გჭირდებათ ფარ-შიმშირი.

ნაძვები

პატარა გოგო პატარა ნაძვეს ეალერსება
და გეგონება ეს გოგონაც ნორჩი ნაძვეია.
ხელისგულეზე უხიციანეს ნაძვეს ნემსებმა.
პატარა გოგო პატარა ნაძვეს ეალერსება.
სარაფანაში წამოზრდია მკერდი ნესვებად,
მანცდამანც ტანსაცმელიც მწვანე აცვია.
პატარა გოგო პატარა ნაძვეს ეალერსება
და გეგონება ეს გოგონაც ნორჩი ნაძვეია.

ერთი ღლეობის გახსენების აგავი ფავი

ღლეობაზე გუნდს მოუძღვის
აკვირინე ბულია.
მამაკაცებს გააკვირვებს
ტინგიცობა ამ ქალის.
ო, ის რაფით მოისწრაფის –
რაფინირებულია,
ტაშფანდურის დაშტამპული
პოეტების ამქარი.

ნოსტალგია

დამსვენებლების
აგარაკზე ერთ ათეულში
მე სულ პატარა მოყმე ვიყავ
ნეკი თითოვით.
რას მატყუებდი მამის სახლში
ვერდატეულ შვილს –
დიდებს დიდურად მიმართავდი,
მე კი ... ტიტინით.
... რა გოგო იყავ, ყმანვილი რომ
მყავ მონუსხული.
ეჰ, ქალბატონო, დროსთან ბრძოლა
ველარც ფრეს გაძლევს.
ნაშლილა შენი სილამაზე,
როგორც ნუსხური
ყინწვისის ტაძრის ანგელოზის
უკვდავ ფრესკაზე.

ონავრული შიკითხვა ხალოვნებათმცოდნე

როგორ უყურებთ, ქალბატონო,
თქვენ იტალიელ მიქელანჯელოს
ქანდაკების გენიტალიებს?

ვკარგავ მეგობარს, ვკარგავ საყვარელს,
(მათ ახლად პოვნას არ ვისურვებდი),
გარემოს ვუმზერ არგასახარელს,
ცხოვრება იყო ავი სულელი.

მოგონებების აბგად მეყოფა,
რაც იმ სულეთში ვიდარდიმანდე,
ღამე ღვინოში ვწვავდი მე ყოფას,
ცირკის ფერებით მდიდარ დილამდე.

ვკარგავ მეგობარს ანთუ საყვარელს
(მათ ახლად პოვნას არ ვისურვებდი)
კაცს დიდ მომავალს რად უსახავენ,-
დიდიც და მცირეც არის სულელი.

ბუსარი

კარგია მის წინ ზღაპრის მოყოლა,
მგრამ მარტოა ახლა მთხრობელი.
აჰა, გაღმა ჩანს ქისტის სოფელი
და იბადება კვამლში ჯოყოლა.

წერს კაცი, ნაშლის, დანერს, გახაზავს
და ემატება ფურცელს ფურცელი,

რომელსაც დასდის ცრემლი გულწრფელი –
სტუმარს დასტირის ქისტი ალაზა.

ზვიადურის ბორგავს მხნე სული . . .
ძირს ნაპერწკლი გადმოხტა რწყილად,
ტკაცუნით იწვის გამხმარი რცხილა . . .
არ ეწირება დარღას ხევსური.

დილა

თენდები, დილავე, მაგრამ არ ვიცი –
იქნება კარგი უნდა გამოდგე,
იქნებ არ გქონდეს დასამთავრისი,
იქნება იქცე უღიმღამო დღედ.

თენდები, დილავე, მოკვდავის ტანჯვის
დაბოლოება ან დასაწყისი.
ან მოლაღატე ღლიავში დამჭრის,
ან წამერთმევა ოქროს სანმისი,

ან გამახარებს ძელქვის ბარტყობა,
ან არ ვიცხოვრებ უფიროსმანოდ,
ან გადავაქცევ ამ დღეს მარტყოფად,
ან ციხეს წავგვრი უბირ ოსმალს.

თბილისური

ფუნდუკის ფულს ვესხები თამამშვეს,
ფულს გავეფლანგავ ფაისალი გრაფივით.
აგრაფინა სიყვარულით დამამშვეს,
აგრაფინას ვადღეგრძელებ გრაფინით.

ამ ძარღვებში ავიდულე ტიბანს,
ო, რა თრობა იცის მერე ვერაგმა!
ჩემს გულისწორს მოუხდება დიბა ან
მთვარიანი ღამის შუქი პერანგად.

თუ მან შუქი ციდან მართლა იყიდა,
გავიხარებ, ნიშნს მოვუგებ ავეციბს,
ამაყ და მყარ ნარიყალას რიყიდან
ყოვლადმინდა სიყვარულით ავევირებ.

წუთისოფელს ვაზოზინე ოხვრაში.
კლდე-ღრე მხვდება, შემალონა მე ამ ღრემ.
ორში ერთ – ან იყავი ოღრაში
ან დამწვრისა შეუბერე, მეარღნეც.

ფიროსმანი გამომიხმე ხომლიდან,
მომალანდე ხელთუქმნელი ტილოთი
და იმ ცრემლით ამატირე, რომლითაც
კოჯრის მთაზე მოკლულ თბილისს ვტიროდი.

მაგრამ ეყო, რაც ჩემს მამულს უჭირდა!
უნდა უფსკრულს გადაუფრინოს, აი, ამ
საქართველომ – ანგელოზის მუჭიდან
გაშვებულმა ჭია-ჭია მიაიმ.

ირაკლის ბეჭედი

*„მე ფეხთგანბანილთა მიერ
ეკლესია ვადიდე, ერეკლე“.
ერეკლე II ბეჭედი*

დღეს ჯარს რომ ამ ბეჭდით მოსწერო,
მტერს თავზე დაამსხვრევს ჰოროლს.
ო, სისხლის წვიმების მომსწრენო,
იცოდეთ, ასპინძავ, გორო,
ძალისო, კრწანისო, გარნისო:
პატრონი ასეთი ხელრთვის
ხელიდან თურქების გარნიზონს
ყოველთვის გამოგლეჯს ხერთვისს.

ერთ მშვენიერ იანვარს
(ეს ხომ არის ჩემი თვე),
მთვარის როცა დაინყებს
(სრულის) დისკო პრონიალს,
იგრძნობ, როგორ მოვდივარ
შენთან შენით, შენითვე,
მოვალ სხეულისა და
სულის დისპროპორციად.



მე არ მოვთხოვ აღდგენას,
შენი ხელის იმ მტევნებს,
მე რომ მეფერებოდნენ,
ცოცხალი რომ ვიყავი.
განა ჯოჯოხეთიდან
მისთვის გამოვიდევნე,
რომ ჩემს სიკვდილს ხელახლა
მოელოდეს ჭილყვავი?!
შენ მიხვდები, მარტოსულს,
რა იარა მატყვია.
არასოდეს არ არის
საყვარელი ქალი ბრმა.
შენ მიხვდები, ამ გულში
გაიარა რა ტყვიამ,
რა სისტემის დამბაჩის
რა ნომერმა კალიბრმა.
რა თქმა უნდა, იქ უკვე
სისხლი აღარ ენთხევა,
სადაც ძველი კვერნაქის
მოვარდისფრო ბორცვია.
ნუ აფორიაქდები,
თუკი შენთან ერთხელაც
სულისა და სხეულის
მოვალ დისპროპორციად.

სხვების ჭკუაზე ნუ ივლი,
კაცო, ცნობილო პურადად.
სულ ახლოს გესმის ყმილი
ლიტერატურულ ტურათა.

უავთანდილე ტარიელს
და ნესტანს უტარიელე.
ცოცხალ ძმაცაცთან დალიე,
მკვდარს ნიში უთვალეირე.

არ დაანებო თავი სმას,
დე, იქირქილონ იმ სხვებმა.
ლერმონტოვიც ხომ თავისმა
ავყაობამ იმსხვერპლა.

ალგებრა

ხან ცუდები ვართ, ხანაც კარგები,
მაგრამ ასწონოს დაე განგებამ:
როცა ერთმანეთს დავეკარგებით,
ვის უფრო მეტი დაეკარგება.

ჩვენ ვუმატებდით ერთმანეთს ვარამს
და სიხარულსაც ვუნანილებდით –
დაგვეინყებია ყოველი სხვა რამ,
როცა გვიგრძენია ზრუნვა მცირედი.

კაეშნიანი ჩანგის ჰანგები
ადასტურებენ – და ეგ ალგებრა:
როცა ერთმანეთს დავეკარგებით,
პოეტს რომ მეტი დაეკარგება.

არა გეჭირდება არაბისტიკა,
კარგად იცოდნენ ჩვენმა ძველებმა
რომ არსებობდა ვინმე ბისტიკა
ქართული ლექსის სადღეგრძელებლად.

ერთიც გვეყოლია შოთას ტოლფარდი
და ყველაფერი მისტიკურია,
თუკი ჩააღწევ იმ ერთ სტროფამდის,
დანერილს ნაღდი ფისტიკაურით.

ასეთი არის წესი ჟამთასვლის
სულ სხვა მხატვარი უნდა სხვა რომანს.
„შეკრა წითელი ათი ათასი
პირად მზემან და ტანად სარომან“.

ზემო ხანდაკვი

როცა შენ გისმენ, ზემოხანდაკელ
ვაჟთა ნამღერო საგალობლო,
ვფიქრობ, მუშაობს მზე-მოქანდაკე
ქართული ჯიშის საგამოფენოდ.

ჰანგი და ფერი ერთად მონვეთავს,
რომ ამდაგვარი შექმნას ბუნება.
არ უწერია ამ ფერს მოცვეთა
ისე, როგორც ამ ჰანგს გახუნება.

ეს არც მონეა და არც მანეა,
არც პიკასოა, არც კუინჯია,
ამ დღის მხატვარი ფიროსმანია,
ხოლო მხილველი – ჯემალ ინჯია.

რო არ დავთვრე. არ მინდა დათრობა.
 რო სვამ, ხო უუნები შენ თავს, რო არ
 დავთვრე, თუ არა? მე ეგრე ვეუუნები ხოლმე.
 ზაკას მივცემ და პროსტო ვსვამ და ვარ
 ჩვეუებრივით. თუ მიუჭვი, მერე ბაზარზე
 ვინყევ და მე რო ბაზარს ვინყევ, ნატუკა
 ჩემ უკან დადგება ჩუმით და სახეებს
 იღებს. დამცინის და ხალხს აფთხილებს,
 არ ელაპარაკოთო. ხუმრობით, რა. მაგი-
 ტოც არ მინდა რო დაღვიო. შიანურებში
 ასწორებს ბაზარი და ეხლა გარეულებში
 მაგის ნერვები აღარ მაქ. ამიტო არ მინდა
 რო დაღვიო, თორე მე და დაბრეცილი
 დავლევეთ ხოლმე ერთათ და არც არაფერი
 რო დავგვრუხო ან მე თითონ დავიგვრუხო.
 აქ კიდევ სამი ოთხი რო დაღვიო და ერთ
 ტიპს ვაკვირდები. თავიდანვე ხო შევხედ
 და ჩამრჩა, რაღაცნაირათ ვაკვირდები, რო
 სადღაცას მინახავს და ვერ ვხვდები სად
 და ისიც მაკვირდება რო უყურეფ. შვიდი
 კაცი ვზივართ, ქორწილი კი არ არი. ეს ტიპი
 არი, თმებგათეთრებული, მარა ახლაგაზ-
 და რო არიან ხოლმე. ევითი, შავგვრემანი.
 გაჩუკას ნათლის ბიჭია, ცოლი უზის
 გვრძე, ის ცოლი მერე ხან გადაჯდება, ხან
 გადმოჯდება, როგორც არი ქალები რო
 ვერ ჩერდებიან სუფრაზე. ხოდა დაბრე-
 ცილი კიდევ მიყვა სმას ნათესავებში. ამ
 ტიპს შევხვდავ, დავლევეთ, კიდევ შევხვდავ,
 ისაც შემომხვდავ. ვიჭყვინძვია, მარა ვერ
 მოვიგონე სად ვნახე, რა პონტი მყავს ნან-
 ახი და ვისთან ერთათ ან რა დვიჟენია იყო,
 სათამაში იყო, ან სადმე სხვაგან, ხოდა
 აღარ ვიცი. მივაჭახუნებთ, დავლევეთ. მარა
 არ მერგება, ნერვოზები დამიტრიალა
 კიდევ თავში, რო ვერ ვიხსენეფ. როგორ
 ვერ ვიხსენეფ ხო იცი, აი სახელი რო და-
 გაიხსენებდა რაღაცის და რო ვერ იძინეფ
 და ნატუკას რო უუნები, იმას რა ქვია ეგე-
 თი და ეგეთი როა და ნატუკას კიდევ ძინავს
 და ვერ ხვდება, სანამ ის აზზე არ მოვა.
 ნატუკას ყველაფრის სახელი ახსოვს. კა-
 როჩე ამ ტიპს ვერ ვიხსენეფ, მარა რო ხვდე-
 ბი გულიში რო რაღაც ისეთში გყავს ნან-
 ახი რო ვაჟი რაღაცაში. ეგ რო ვიგრძენი
 რო ვაჟი რაღაცაში, მერე უნდა იფიქრო
 ტყუილათ ხო არ გრძნოფ, იმიტო რო
 დალეული გაქ. დალეულზე ადიდებს. დიდ
 ეკრანი როა ტლევინოზისი, ისე.
 მაგიტო უნდა იფიქრო, ეს ვაჟი კი ვი-
 ფიქრე, მარა ვაფშე არიფობი ხო არ არი,
 იმიტო რო დალეული გაქ. დალეუ და უნდა
 გამონიო და ცალკე დადო ეგათ დროს და
 ისე იფიქრო.
 ვიფიქრე და ვაჟნიმი მყავს ნანახი. ისე
 რო სულ უნდა გახსოვდეს.
 შევხვდავ, ისიც მიყურებს. პროსტო,
 კაცს რო შეხვდავ და შემოხვდავს გგონია,
 რომ მე უყურეფ და ის იმიტო შემომხვდავს
 ხოლმეო. რა იცი რო თავისითაც გიყურებს.
 დაბრეცილმა კიდევ, თამადობს და
 რეებს იძახის ერთი მოგასმენინა. იმ ნათე-
 სავებმა ეგება ვაფშე არ იციან რო გაჩუკა
 თამაშობს. მაგის ცოლიც ხან დაჯდება ხან
 ადგება და ეგ ცოლი მეპასნა. მეპასნა
 რა, თავიდან როგორც ვფიქრობდი ისეთი
 ცოლი იყო. ხო ტყუობა. ყველაფერზე რო
 გაგიშვებს ქმარს რა. აპასნი ცოლი, ლო-
 ნიერი. ამ ბიჭს კიდევ მოვლა უნდა. იმენსა
 ადამიანურათ მოქცევა. ვერ ქაჩავს, რა,
 ვერ წვდება.
 თავისი ბაზარი რო გაუშვა დაბრეცილ-
 ამა ვახომ, და ეხლა ისინიც ვინც არიან,
 ხო ყველას აინტერესებს ქართველებს
 თამაში, თან აგერ იგროკები ნახეს და
 დავაი, ნავიდა დაბრეცილის პრესკონფერ-
 ენცია. მე კიდევ თამაშზე მოთმამეებთან
 მიყვარს ლაპარაკი, იმათ მაინც ვერ ას-
 ნავლი ვისაც გონია რო ლარიანით გამ-
 დიდრდება, იმათ ეხლა მე რა უთხრა. ჩემ
 მაზებს როგორ ვიგონეფ? დაბრეცილი
 კიდევ კაი მოლაპარაკეა მაგ რამეებში. სან-
 ამ ესენი ბაზრობენ და ისიც, მე რო მეცნო-
 ბა და უკვე ვაჟნიმი მყავს, დანტერესდა
 და ეკითხება რაღაცეებს. მე კიდევ ისევ მა-
 გას შევხვდავ და ვფიქროფ, ვაჟნი რამეები
 რა ყოფილა, რო ეს ტიპი იქ ყოფილიყო და
 მეც იქ?
 მერე დაბრეცილმა რაღაცა სადღეგ-
 ძელო თქვა და მეთქი ეგ არი და ველარ
 მოვითმინე და ამ კლიენტს ვეუნები:
 შენა ხარ-მეთქი?
 ძმაო და რამე არ მითქვია და სანამ ეგ
 ვკითხე, უკვე აზზე ვარ რო თუ გართულ-
 დება, გართულდეს, მე ვაფშე არ ვკითხავ-
 დი, მარა არ შემიღია რო არ გავარკვიო,

რაც ვიცი და სახელი დამავიწყდა.
 ხოდა, მეთქი მზათ ვარ, რა უნდა
 მოხდეს, რა უნდა გაართულოს. გამირთუ-
 ლოს ჰა, გაჩუკას ოჯახში პირველათ ვარ,
 იქ ხო არ იქნება რამე და ისე, ვიბაზროთ.
 თან დალეული მაქ, ოლონდა თავს ვეუნები
 რო არ გადავიგვრუხო, თან მე უფრო ხო
 გვიან დავიწყე დალევა.
 ხოდა ვეკითხები, შენა ხარ-მეთქი?
 და იმანც ეგრევე, მე ვარ, ქემერო, მეო
 და გაეცინა.
 რო გაეცინა, მეთქი ნიჩივო და ძლივას
 გიცანი, ვიხსენეფ, ვიხსენეფ.
 ესენი გვიყურებენ, გაჩუკა ამბობს, ძვე-
 ლი ნაცნობობები ყოფილხართო.
 მაგარი ნაცნობობები, ეს ამბობს.
 მე უთხარი, ეგრევე მიცანიტო? კი, მე
 ეგრევეო. მეთქი, მე კიდევ ვერა. გამ-
 ოვთვალე და ისე გიცანიტო.
 დაბრეცილი მიყურებს და გამოთვლა
 კი იციო.
 დავი მეთქი, დავლითო.
 იმან კიდევ, ჩვენ შეხვედრას გაუმარ-
 ჯოსო და რო ვიცანით ერთმანეთითო. ბიჭო,
 რა, რაღაცნაირი კაი ადამიანი იყო.
 როჯაზე რო ვერ იტყვი, მარა კაი ად-
 ამიანი როა. მეთქი, გაუმარჯოს ძმაო,
 პირველი შეხვედრა მეთქი უკანასკნელი
 იყო და ღმერთმა ისე გამოიყვანა, რო არ
 ყოფილა უკანასკნელი და გაგიმარჯოს,
 ესეც არ იყოს ბოლო მეთქი.
 დავაიო.
 ესენი გვიყურებენ, ჩვენ კიდევ ვიცინით.
 ეგრე, ჩაციხვებით, იმათ ხო არ იციან,
 კაროჩე. მე კიდევ, ეს ისეთი ვილადა გამოდ-
 გა, რო ნერვოზები ვაბშე არ მეჩიტება,
 რაღაცნაირი კაი ტიპია.
 ეგ როდიდედი ამბავია იცი? ვაბშე
 ჯერ ნატუკასაც არ ვიცნობდი და ჩვენთან
 ვართ სოფელში ჩასულები და ცოტა ნას-
 ვამი ვარ, უკვე საღამო არი და მეთქი დე-
 დაჩემს უთხარი, დედი მეთქი, გამოართვი
 გასაღები, თბილისში წავალ რა სახლში.
 მამჩემზე მაგრა ვიგრუხეოდი და თქვენ
 კიდევ ნამოვიყვანთ მეთქი, ჩემ ბიძაშვილზე
 უთხარი. იმას გამოყევითოქო.
 დედაჩემი სხვანაირი ქალი იყო. ვაბშე
 სხვანაირი. როგორ მიყვარდა დედაჩემი.
 ეხლაც მიყვარს, პროსტო აღარ არი. ვერ
 ვჩერდებოდი მაშინ ვაბშე, მამაჩემო რო
 დამიყვანა ან რამე და მეც თუ ცოტა ნას-
 ვამი ვიყავი. იმის ბაზარს ვერ ვიღებდი
 გულით და ვერც ტვინით ვერ ვიღებდი. და
 იმანაც იცოდა და გამომიტანა დედაჩემ-
 მა გასაღები და დაგვექი და ნამოვდი.
 რა უნდა, ორი საათი, ჰა და ჰა. დე-
 დაჩემმა თან ჩამილაგა, ბარემ წაიღეო.
 რთველის დრო იყო და რთველის რაღა-
 ცებში ჩამილაგა.
 ნამოვდი. ცოტა ნასვამი კი ვარ, მარა
 ვინ უყურებს. ეგ დროა, სულ სიბნელე როა
 და დედაჩემს კი ეშინოდა, ვინმემ მანქანა
 არ წაგართვასო, რო დაგაღამდებაო. მე
 კიდევ იარაღი ზედა მაქ. მაშინ იარაღით
 დავდივოდი. ან ვინ უნდა ჩამომხვას.
 მამაჩემს კიდევ კი არ უთქვამს, მარა, მამა-
 ჩემისთვის ეგ როგორი რამეა იცი? გამრავ-
 ლების ტაბულა როა მიხაილასთვის.
 ჩამოგხვეს, ჩამოსასმელი იყავი. შენ
 მაქანიდან ჩამოგხვეს, მე ვაზრავტი ვი-
 ჩალოჩო? მამაჩემისთანა კაცი ვაზრავტიზე
 ერთ პონტიში წავიდიოდა. პროსტო თუ
 მოგიყვანდენ მანქანას და სახლში კართან
 დაგიყვანდენ, ბეზ ვსივო.
 მაგას ეგეთი შეხედულება აქ. ეხლაც-
 კი დაბერდა, მარა ვინც არი, მერე მოგიყვ-
 ბი.
 ხოდა ნამოვდი, ვუთხარი, წყნარათ
 ვივლი, დედი. მარა წყნარათ ვერ ვიარე.
 მივანექი დამივანექი. მამაჩემს სულ ნოლშ-
 ესტები ყავდა. სულ ხოლმე. ესაც ნოლშეს-
 ტი იყო, თეთრი და მაგრათ ვიარე და უკვე
 თბილისისი რო შემოვიდვიარ, ხო იცი, სადაც
 არი შემოსასვლელი. ლილოსთან ვარ უკვე
 და ვაბშე ისე ვიარე, სამი მანქანა შემხვდა
 სულ, მარა თბილისია და დამავიწყდა რო
 თბილისია ისეთი ტრასა იყო, თან კიდევ ნას-
 ვამი ვარ. და შემოვარდი და ვანვები და
 ერთ ადგილში ვინროვდება. და ბიჭო, ტიპი
 არ გადმომიხტა? გადმომიხტა რა, დაღ-
 ნებს უცვლიდი, არ მევახება დაღნები და
 ვხედავ ტიპიანინ, ოც მებტრაში. მთვრალია,
 ფხიზელია, გადადის და რო დამინხა, გაჩ-
 ერდა. მე კი ავიღე მაგრათ, მარა რამხელას
 აიღეფ, გაცერდა და ავაგდე. ავაგდე და
 დავინახე როგორ დაეცა და მეთქი, მოკვ-
 და. მოკვალი, მაგის დედა ვატირე. და

ეგრევე არ ვიცი შეჭყეყილი ვარ რა ვარ,
 მეთქი გადმოვალ ვნახავ. მეთქი ნავიყვან
 და რო უნდა გადავყენო მანქანა და ვი-
 ლაცის დაღნები დავინახე და მეთქი მორ-
 ჩა. ისე ავაგდე, უეჭველი თავს დაარტყამ-
 და და მკვდარია და ეხლა ვილადა მწვავს
 კიდე. და დავატრიალე უცბათ და მივეცი
 წინ. აღარც დამინახია ის ვილადა.
 ნამოვდი. მოვედი. ჩვენები გარაყი აქთ
 სახლის ჭიშკრის გვერძე. და შევაყინე,
 ავანთე და ცარაჰკაც არა აქ.
 ამოვალგე ეგ რაღაცეები, ყურძნის
 ნენი, მაჭარი რამეები. არაფერი არც გა-
 ტეხილია არც რამე და მეთქი მოვკალი.
 ვერ დავინახე ისე. ერთი დვიჟენია დავი-
 ნახე და ეგი იყო და კაცის მოყვანილობა
 და იასნა რო აქეთ იყურებოდა ჩემკენ, მარა
 მეტი მე ვერ დავინახე, ტუფლები და ვსიო.
 ყავისფერი ტუფლები და მოკლეკლავიანი
 საროჩკა.
 მეთქი მოვკალი.
 რო გითხრა რო ეს ტიპია. ავე გაჩუკას
 ნათლის ისა. ეგ არი. ხო არ დამინახია,
 მარა ეგ არი. სწორათ მიხვდი.
 და იმან რო მიცნო ეგრევე?
 რამდენი ნელიწანი გავიდა. ერთმანე-
 თი არ დავგინახია და როგორ ვიცანით
 ერთმანეთი. მე რო უფიქრდები, მე დვიჟე-
 ნიაზე ვიცანი. ერთი კვირა მეგონა ეხლა
 მოვლენ, ეხლა მოვლენ, არავინ არ მოვი-
 და. მე სროკის კი არ შემეშინდა. სროკი რა,
 დასაჯდომს დაჯდება. თან მაშინ რა სრო-
 კი. ვის იჭერდენ. მამაჩემი, ვაბშე ისე
 გავიზრდე, სუ იჯდა და მგონია იმიტო ვერ
 უწყევ ვაფშე, რო რედატო ვნახულობდი.
 დაჯდომას რა უნდა. პროსტო ამ დროს
 გეკეტება. ძალით ხარ, ადამიანივით კი
 არა ხარ.
 ერთი სანყალი ჩვენი უბნელი კაცი იყო,
 ნესიერი კაცი რა. ადრე მე ბიჭი ვიყავი ჯერ
 და იმას მოუვიდა ავარია. შვილი ეჯდა.
 თითონ გადარჩა, შვილი მოკვდა. ნესიერი
 ისიც, მუშა ხალხი. ხო იცი, შაბათ-კვირას
 სოფელში რო დადიან და იქ რამეებს უფ-
 ლიან. ხოდა, იქ დალია და ეუნებთან დარ-
 ჩიო და არაო, თვლისში სამუშაო მაქ და
 შვილიც არ დასვა და ნამოვიდენ და
 დაარტყა ავტობუსს. თან უკვე ჩვენ უზნა-
 ში რო მოვიდა.
 მამაჩემს უყვარდა ეგა, ბავშობაში ერ-
 თათ გაიზარდე და რო დარეკეს ეგრევე
 ნამოვიყვანა და ნავედით, ეგრევე და
 სანარაფოში მე შევაგორე რა და მეუნება
 მიშველე პატარა ქემერო, მიშველეო. მეთ-
 ქი გშველი და უკვე იცის რო შვილი დაე-
 ბრიადა.
 გადარჩა თითონ. როა ავედით სანახ-
 ავით ერთი კვირის მერე, ნეეს ეგრე გიფ-
 სებში და მიტხრა, კაციო, ეგეთი ცხოვე-
 ლიაო. ჩემი შვილი მოკვალაო და შენ გეხ-
 ვენებოდიო, რო მიშველეო.
 ის კაცი მოკვდა, გული გაუსკდა ერთ
 ნელიწანში, თუ ეგრე. აბა რა იქნებოდა,
 ნესიერი კაცი იყო. ხოდა იმან ცხოველიო,
 მე კიდევ პროსტო ძალითოქო რა.
 მაგ ამბავში ყველაზე მაგარი ის იყო,
 რო როგორ ვიცანით ერთმანეთი, ისე, რო
 არ დავგინახია.
 დაბრეცილმა მიტხრა მერე, ეგო ისე-
 თი პონტიოა, რო შენ ხედავ, მარა ვერ ხე-
 დავო, გამოხსოვრდება, მარა არ იცი რო
 გამხსოვრდება. ტვინში არიო, და ისე კიდევ
 არ არიო და რო არ გენახა ეგ ტიპო, ვერც
 გაიხსენებდი ვინ იყოო. დაბრეცილმა ვახ-
 ომ მაგრა იცის ეგეთი რამეები.
 მერე ნერვოზები ნუ გექნება. აბა, სხვა
 მიტხარი რო ეგეთი რამე დამრთონდეს. ან
 კიდევ ამდენი ნელი გავიდა და კაცი რო არ
 დამინახია, ის ვიცანი და იმას არ დაუახ-
 ივარ და იმან მიცნო. იმას თავი გაანებე რო
 ამდენი ხანი მეგონა, რო მოვკალი. იმიტო
 მაქ ეგ ნერვოზები და რო აღარ შემიძლია
 ხოლმე. აბა რას იფიქრეფ, სუ რო არ გახს-
 ოვდეს უცბათ გაგახსენდება.
 იმ ადგილზე რამდენი გამივლია მერე.
 სულ გაგახსენდება. რულზეც ხო აღარ
 ვზივარ. ხო შემეშულდა. მანქანაც არა მყავს.
 სუ მაგიტოა და ეს ტიპი კიდევ გამჩიტია.
 ნაჩუქარია რა, აბა რა არი. ამდენი ხანი
 მეგონა რო, კაცის ცოდა მაქ კისერზე და
 ვდრუგ იასნდები, რო არა მაქ და ვაფშე ეს
 კაცი ჩემზე ნაწყენიც არ არი.
 ნაწყენი შეილება კი არი, მარა ეგ
 სროკის პონტი დავინახე, რო მიდიხარ,
 გამომიბებელი და სუდოა გეზიზდება და
 მერე აღარც გახსოვს, რო აბაროტი აულო.
 ეგრე ყოფილა. თითონ ამაღ ეგრე
 მიტხრა. რას ამბობო, ქემერო, რა წყენაო,

რაღა დროს წყენაო. მე უთხარი, მეთქი
 შენი თავი ღმერთმა მაჩუქა.
 რო დავაშავე და ვერ ნავიყვანე სავან-
 ცყოფოში, მთელი ეს დრო დამსაჯა და
 დღეს აზზე მომიყვანა.
 მე ხო იცი, ღმერთზე ბევრი ლაპარაკი
 და ეგეთები არ ვიცი. ნატუკა მაგრათ
 ერკვევა მავებში. მე პროსტო ჩემებურათ
 ეგრე დავინახე.
 ესენი გვიყურებენ, გადებლებლები
 ზიანს.
 დაბრეცილმა უთხრა მერე ლადაობით,
 ქემერასთან ერთათო, ჩვეულებრივ პონტი
 ჯერ არ ვყოფილვარო. რა პონტიც არ
 ვყოფილვარო, სუ სხვა პონტი გადაკეთ-
 დებაო. ეხა ხო გაჩუკას სანახავათ ამ-
 ოვედით და ავე რა გამოვიდაო.
 მე უთხარი, შენ ვიზე რას ამბობ, რო
 დაიბრიცეთო. მოსულა რა ჩვენში ეგეთე-
 ბი, და ეს ხალხი სუ გამოგამტერი, იმიტო
 რო დაბრეცილი ვახოს ამბავი მოუყვი.
 ეგრეა მეთქი ძმაო, გიყები ვართ ჩვენა, ისე-
 თი საქმე გვაქს რო თუ გიყი არა ხარ, არ
 გამოვა. საქმე არ ნავა.
 გავერთეთ რა, დაბრეცილის ამბავი
 ცოტა გძლათ გამომივიდა, მარა მაგარი
 ამბავია და იმას მერე მოყვები.
 ამ ტიპმა კიდევ რა თქვა ჩვენ ამბავზე:
 კაროჩე, ნასვამი ვიყავიო. ახლობელთან
 ვიყავი და მთვრლის პონტი კი არა იმენ-
 ნა ნასვამი, რო ვაბშე არ ხარ მთვრალი,
 ბარბაცი და ნათიშვა და რამე კი არა, იმან-
 ნა ნასვამი და მე თუ მიკითხავ, ეგ უფრო
 აპასნია რაღაცეებში, იმიტო რო ნასვამზე
 ადამიანური კაცი კაი ხასიათზეა და კაი
 ფიქრებშია და უცბათ ავიწყდება გარშემო
 რა პონტია. მამენტე ნაგიღებს უფრო.
 მთვრალს კიდევ რა მოეკითხება. ზოგს ფხ-
 იზელს ვერ მოეკითხება და მთვრალს ხო
 ვაფშე, მთვრალი დაეთრევა და სისულე-
 ლეებს ამბობს, ნასვამი კიდევ სულ ლამაზ
 რამეებს ამბობს და ქვეყანა სხვანაირი გო-
 ნია. ხოდა ეგრე ნამილოო რა.
 სწორეთ დაუჯერე მაგამი, პროსტო
 მოვდიოდით და ნამილოო რა, კაი ფიქრ-
 მაო და რა ბევრი კაი ფიქრი არი ცხოვერ-
 ბაში, რო როცა ნაგიღებს არ ნაყვე. ამ
 დროს კიდევ მეც ხო ზუსტათ ეგრე ვიყავი
 ნასვამი კაი ფიქრებში ნაღებული რო ნამ-
 ომილო კახეთიდან და ეგრე რა.
 ბიჭო, მაგანაც თქვა, ვერ დაგინახეო,
 ვაბშე ვერ დავინახეო. რა არი, აზზე ვერ
 მოვედიო, პროსტო ავხტო. მაგანაც ეგრე
 დამინახა, როგორც მე, ტვინში დამარხუ-
 ლათ, სწორე თქვა დაბრეცილმა.
 ოთხ საათამდე უბრეტო რა, ვაფელმა
 კიდევ ამოიტანა. მეთქი თუ კისრულბო
 იკისრე და ყველაზე მეტი ის კი არ გამიხ-
 არდა რო ეს ტიპი ცოცხალი გადარჩა, ეს
 ემზარა, ის გამისწორდა რო, რო დავარ-
 ტყი მარტო ნიდაყვი გადაექლითა. მეტი
 არაფერი არ მოუვიდა. იმხელაზე აფრინ-
 და და დაეცა და მაგრა უდაჩნათ დავე-
 ციო, დაცემა ვიცო, ნიდაყვე უნდა დაე-
 ცუო და ეგრევე გადაკოტრილდაო. მეთ-
 ქი სალოლ, თუ ეგეთი მაგარი ხარ, რო მან-
 ქანა გირტყამს და ეგრე ასწრეფ. არაო, შენ
 რო მირტყამდიო, მე უკვე ავხტო. კინო
 მოყვა რა.
 თანო მთვრალი რო ვყოფილიყავიო,
 ტრუპი ვიყავიო. მარა ნასვამი ვიყავი და
 ნასვამზე ტვინი მაგრა მუშაბსო. აი მუ-
 ლამში დავეცი რაო, მულამიანათო. პროს-
 ტო კი მეტიცნა მაგრათ და აზზეც ვერ
 მოვედი რა იყოო, ამასობაში კიდევ შენ წახ-
 ვედიო და პროსტო ავედექო და მეთქი ნი-
 დაყვსი თუ გამიტყდა, ვსიო, მარა პროს-
 ტო სისხლი მოდიოდაო და ნამოვედი მაღ-
 ლაო და ტაქსი გავაჩერეო.
 ზღაპარს ყვება რა.
 მეთქი, მართლა ისა ხარ ემზარ, ძმაო?
 ისაა ვარო ტო, აბა ვინ ვარო.
 მეთქი ვსიო, ერთ-ორ კვირას აღარ გავე-
 მაზავ.
 ვარიანტი არ არი რამე მოვიგო. იმხე-
 ლა რამე მოვიგე ამ საღამოს, რო ზედიზედ
 ამდენს ღმერთი არ მოგცემს. მოგცა, შერი-
 გე.
 ნატუკას რო მოუყვი დილაზე, მიტხრა,
 გიყი ხარ შენაო. იმენიო გიყი ვარ, ეგ კი
 იასნია, მარა ის ემზარა ემზარა იყო თუ
 ანგელოზითოქო, ეგ ერთი მღვდელს კითხ-
 ეთქო, პოლნი სერიოზულში უთხარი.
 მორიდებულია და არ კითხავს.
 მე ეგენი სულ არ ვიცი, მარა გამოგზა-
 ვნილი ანგელოზი რამე სხვანაირია?

1. ამ უბნად გუშინინი გადმოვსახლდი. შორეულმა გარენათესავმა, იგივე ჩემი ცხონებული ბაბუდას მულმა ანა-სოფიო ფსუტურიშვილმა, ვისზეც მთელი ცხოვრება ხმა დააბიჯებდა, რომ ის იყო ჯადობაზი, მისანი, ჰედონისტი და ბოზვი, მაინცდამაინც მე მისახსოვრა ანდერძით ამ სამსართულიანი სახლის ქვემოდან პირველი სართულის ეს ორთახიანი სადგომი. თავად მასშივე ცხოვრობდა და აღესრულა უშვილოდ, ანუ თითქმის არავინ შერჩა ისეთი, ნყლის მიმწოდებელს რომ არქმევენ. ეგრეც დალია სული, სიმატოვესთან ერთი-ერთზე გამოკეტილმა. ერთი კი მოასწრო — ოფიციალური ანდერძი მიაბარა ნოტარიუსს, და მაინცდამაინც ჩემს სახელზე. რატომ მე? ამაზე დაწვრილებით მომითხრო ასევე ანდერძით დატოვებულმა, დალუქულმა კონვერტმა. უფრო ზუსტად კი, იქ მოთავსებულმა ძველმა თორმეტფურცლიან-მა რვეულმა, რომელიც ნოტარიუსმა ანდერძთან ერთად პირადად გადმოცა და პარალელურად მრავალ ჩინოვნიკურ ქალაქზე მომარტახებინა ხელი.

2. რვეული თავიდან ბოლომდე განკურნილი იყო მწვანე მელინიანი კალმით, ანუ ხასხასა მწვანეთი ფითქინა თეთრზე ავტორი მხოლოდ მე მიმხელდა ზემორე გადანყვეტილების ან-ბან-გან-დონს: რომ ეს ყველაფერი უბრალოდ იმიტომ ხდებოდა, რომ მას და ჩემს ცხონებულ ბაბუდას — დალიდა ოშკაძე-ფსუტურიშვილისას ჯველ-ქალობისას ზედმეტად მჭიდრო ურთიერთობა, ფრიადი დობილობა და მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. წერილშივე იყო ხაზგასმული, რომ ბაბუდაჩემი გარდაიცვალა შავი ათაშანგით (ჰმ!) და მან მის (ანდერძის ავტორის) კალთაში ოხვრატანჯვითა და თხოვნით დალია სული. ეს კი, მისი ქმრის ლეილი დაი, ანუ მული, მრავალი ვალმოხდილი ჰაბორტის გადაამიდე უშვილოდ დარჩენილი, არავის უთხოვინა.

3. წერილშივე ჩიოდა მოანდერძე, რომ ჩაჩანაკობისას ავსულობაც კი მიაწერეს ვაგლახს, ვინაიდან ცხოვრობდა ჩაკეტილად, ყმუდ, წრმუდ, ჭმუდ, და გარეთ თითქმის არა ჩნდებოდა. თუმც კი, იქვე ეწერა, რომ მასთან ყოველდღე დაიარებოდა ერთი ვინმე ფინთად ტლოპა მეზობელი, ვინც ფრიად დანატრ(ებ)ული იყო მისი ბინის სასარგებლო ფართს — და ყველანაირად ცდილობდა რამით მაინც შეეპატივებინებოდა ჩემი ბაბუდას მულს, ოღონდ კი ეს ალაგი პატრონის სიკვდილის შემდეგ, პატრონისვე სურვილით მის ხელში გადასულიყო. წერილში პუნქტებად იყო განქრული ის ყველაფერი, რითაც ეს მეზობელი ემსახურებოდა ჩემი ცხონებული ბაბუდას მულს:

ანი) დილის საარი — ახალი პურის, ნახევარი ჩაის კოვზი ფხვიერი ჰაშიშისა და დილის მანვის შესყიდვა, მოტანა, მათით საუზმის დაშვადება და ხელით ჭმევა.

ბანი) შუადღის საარი — ცეკვა-გართობა-მასხარაობა.

განი) ღამის საარი — კოიტუსი.

4. მოკლედ და თურმე, გადავგო რა ჩემი ცხონებული ბაბუდას მული, იმ მეზობლის ჯინაზე (მიხვდა რა მის ანგარებიან ზრახვებს), და აგრეთვე გამომდინარე იქიდან, რომ აღარავინ შერჩეოდა ჩემზე ახლო ნათესავი, სწორედ მე (როგორც დაუოხახებელს და მისახედს) მისახსოვრა ეს ბინა როგორც საძინებელი, სასტუმრო ოთახით, სამზარეულოთი და აბაზანა-ფეხსალაგით, ასევე ძველი, აქერცილი ავეჯითურთ.

5. გაუხიარე ფრიად, ვინაიდან დაოჯახებული უფროს ძმასთან მიკედლებული არც მას და არც მის თრიალეთურად დაბორციულ ცოლს გულზე არ ვეხატებოდი. ორივე აღფრთოვანებული ყიჟინით

ბესო ხვედელიძე

მოძრაობის შემსწავლელი კურსები



შეხვდა ამ სიახლეს, ზარ-ზეიმით გადმომატანინეს ჩემი პირადი ნივთები აქამდე და ერთდლიანი ქორფა დამლაგებელიც მიქირავეს, ქორფავე სახელით ელვირა.

6. ელვირამ ბინაში შემოდგა თუ არა ფეხი, უმალ ბოლომდე განიძარცვა სიფრიფანა სამოსი, უახლესი სადამლაგებლო მოდის თანახმად შიშველ სხეულზე სქლად ნაიცხო ზე-სპეციალური „საცხი“ და ძირს ვენებიანი ტყლიზნით გვარიანად ამიხეხ-ამიპრიალა იატაკი. შემდეგ მიიღო დამსახურებული ცხელი შხაპი, ტახტზე ჩემთან ჩახლართულმა ბევრი ინრუუნა ოფიციალური ქმრის კაპიტალურ უნიათობაზედ, შთანთქა სამი ჭიქა ქაფქაფა ჩაი და შემატოვა ეულად კანონიერ ფართს.

7. უპირველესად, რაც ბინაში დარჩენილმა მოვიმოქმედე, ყველაფერი გულდასმით მიმოვათვალიერე. ბევრი კი არაფერი იყო, მაგრამ მაინც: ავეჯი სარესტავრაციოდ იმზირებოდა, დაძინილნობებიანი კედლები უფმურს მკიდებდა, ხოლო ნაელვირალი იატაკი კი ისე კრიალებდა, სარკესავით უკულმართად და ეშმაკეულად ჩანდა შიგ ყველაფერი. კაი ხანს ვადე კედლებს და იქაურ ნივთებს ხელისგულთა. ჩვენკენ ხომ ეგეთი ცრურწმენაა, რომ ყველა ძველი საგანი თავის ნათელ ან ბნელ ჰაურას ატარებს, და თუ გინდა ბოლომდე შეიცნო მათი არსი, ხელისგულთა სიცხე უნდა გაუზომო. აგაფრიალებს — ბუდეა. საბედნიეროდ, არაფერს ავეუყრიალებივარ. სწორედ ამ დროს, ბნის კარზეც მომიკაკუნეს სამჯერ.

8. გამეხარდა, რამეთუ ვიფიქრე, რომ ეს ქორფა ელვირას დარჩა რაიმე დედაკაცური დაუდევრობით: ბეჭედი, საყურე, თმის სარჭი, ან სულაც, უკაცრავად და — აზლუდი, თუმც კარს რომ ჯაჭვი შეეხსენ, მოლოდინის სანინაადმდეგოდ ვილაც მელოტი ახმახი შემრჩა ხელთ.

„დიახ-თ?“ — ვთქვი მე. „მე ამ ბნის ცხონებული მფლობელის, პავიციემულ ანა-სოფიოს უახლოვესი სულიერი ნათესავი და მეზობელი გახლავართ. ჩვენ მხოლოდ ერთი კედელი გვყოფდა. ჩემი სახელია ვენია, იგივე ვენიამინი, აქაურად ბენო. სისხლის ჯგუფი — მეოთხე უარყოფითი. სიმაღლე — 202 სმ და მილიმეტრები. სიგანე — სრული, ანუ 106 გირვანქა. 33 წლიდან სრულ ალტრუიზმში ვარ გადავარდნილი... სწორედ მაგიტომ ვმსახურობდი უხეფასო დენშიკად ბოლო ხანებში პავიციემულ ანა-სოფი-

ოსთან...“ — საოცრად ბოხ ხმაზე გამეცნო ის.

9. ხელი რომ ჩამოვეართვი, ისეთი უსიამო შეგრძნება დამეფულა, ვითომც მამაკაცის დავარდნილ ასოს მოვკიდე ხელი. მართალია, სხვისი დავარდნილი ასო არასდროს მჭერია, მაგრამ ვიგრძენი, რომ ამჯერად ამ შეგრძნებაში არ ვცდებოდი. სტუმარი სახლში თავაზიანად შემოვიპატიჟე, სკამიც შეეთავაზე, მან კი, ჩემდა განსაცვიფრად, მძლავრი დოინჯი შემოიყარა და ადგილზე გაირინდა. მერე უცებ რამდენჯერმე ჩაიბუქა და რიგრიგობით გამოისროლა წინ, ანუ ჩემკენ ჯერ მარჯვენა და მერე მარცხენა ფეხი. ამ ბუქნებით ის თითქოს იმ მელოდიის რიტმს მისდევდა, რომელიც მხოლოდ მას ესმოდა. დასასრულს ისევე წელში გაიმართა და ფეხზე დადგა. შემდეგ თავი თბილად დამიკრა, ხელი კვლავაც დავარდნილი ასოსავით გამოიმინოდა და ვიდრე ბინიდან დარწმუნებული ნაბიჯით გავიდოდა, მკითხა:

„რას იტყვი?“
 „იქნებ უფრო გასაგებად აგეხსნათ...“
 „ანუ, თქვენც დაგჭირდებათ უფასო და მუშა დენშიკი...“

„ვითომ?“ — დაფიქრდი მე და უმალ მივხვდი, რომ ეს ახმახი რალაც ფრიად სასარგებლოს უფასოდ მთავაზობდა. თან გამახსენდა, რომ სიგარეტი არ მქონდა, გარეთ გასვლა კი ჭირივით მეზარებოდა.
 „ხვალვე მობრძანდით მაშინ, დილიდანვე... და სიგარეტი გამოიყოლეთ...“
 „არრის...!“ — მომიჭრა მან ყიჟინით, საჩვენებელი თითი კენჭად აიშვირა და გარეთ ღამის მხედრული ნაბიჯით გააბიჯა.

10. რალაც ხანს ერთ ადგილას ვიყავ მილურსმწული. ვხვდებოდი, რომ ძალიან უცნაური შეთანხმება დავდე, და ვცდილობდი წინდანინ გამომეცნო, თუ რა მომელოდა ამ ყველაფრისგან მომავალში. ვერაფერს პასუხი რომ ვერ ვუპოვნე, საერთოდ მოვეპვი და ხელიც ლეგალური ბორდელის მცველივით ჩავიქინე.

11. ეს ამბავი მეორე დღეს აღარც მემახსოვრებოდა, რომ არა დილაუთენიას ბნის კარზე ისევე აშკარა სამჯერ კაკუნი. ნახევრადმძინარემ გამოვხსენი რა კარი, ხელთ ისევ ის ახმახი შემრჩა. მას ემოსა ორზოლიანი სპორტული ჰიმინასტერი და მარჯვენა ხელის ყველა თითს თვლიანი ბეჭედი უმშვენებდა. სწორედ ეს ხელი კვლავ დავარდნილი ასოსავით ჩამომართვა

ახმახმა სალმის ნიშნად.
 „კაი ხნის ტრადიციის მიმდევარმა აგერ მოგართოთ თბილი პური, ნახევარი ჩაის კოვზი ფხვიერი ჰაშიში და უახლესი წყნეთური მანონი...“ — და მარცხენა ხელით ზურგს უკნიდან გამოიმინოდა ვერცხლისფერი ლანგარი, სადაც ზემოთჩამოთვლილი სანოვაგე ელავა. „ხოლო სიგარეტი გულის ჯიბეშია...“
 მე მას ლანგარი ჩამოვართვი და ბინაში შემოვუძეხი.

12. დანარჩენი თავისით მოხდა — ანუ დენშიკი მსწრაფლ შეუდგა დილის საქმეს: გახსნა მანვისი ქილა, შიგ ჩაყარა ახალი პურის ნატეხები და მოაყარა ზედ ფხვიერი ჰაშიში. შემდეგ აურიცა ყველაფერი კარგად, მოიხელთა ჩაის კოვზი და დილის კერძი თავისი ხელით მაჭამა. უცნაურია, მაგრამ ასეთი სახის კერძის ასეთი სახით მირთმევამ უმალ ცეკვა-გართობა-მასხარაობის გუნებაზე დამაყენა. დანაყრებულ ფეხზე ნამოვიჭერი, ადგილზე შთამბეჭდავი ლათინოსური ბრუნის გაკვართა ერთ ადგილას გაშეშვებულმა დოინჯი შემოვიყარე. თითქოს ამას ელოდაო, ჩემი დენშიკიც მყის ფეხზე ნამოვიჭრა და რომელიღაც ჩრდილო-კავკასიური ერის ნაციონალური საცეკვაო ილეთი ჩაატარა.

13. მორიგი, კიდეც მორიგი, და კიდეც უფრო მორიგი საცეკვაო ილეთის შესრულება ეს უკვე სრული სამოთხე და ნეტარება იყო. ჩვენ ვცეკვავდით ყველაფერს რიგრიგობით: სამბას და რუმბას, პოლკას და ჩა-ჩა-ჩას, ვალსს და ბოსტონს, აფხაზურს და ლექურს, ჩაკს და ნორისს, ტანგოს და კეშს... ჩვენ ვიყავით ყველგან და ყველაფერში — ყველა კონტინენტზე და ყველა ერში ერთდროულად... ანდა, პირიქით: ჩვენთან და ჩვენში ტოკავდა ყველა კონტინენტი და ყველა ერი ერთბაშად. შესაბამისად, ჩვენ უკვე ვიცოდით ამ კონტინენტთა მოსახლეობის ყველა ცეკვა და ყველა ილეთი. უცებ ოთახში მკვეთრად ჩამოხსენდა — და ჩემდა გასაოცრად — იძრა ჭერი. მას ზედ აჩნდა ჩვენი ბავშვობისდროინდელი ღრუბლები და პროფილები. ეს ღრუბლოვანი პროფილები კონტურებთან გადაიხსენენ, ქვემოთ ჩამოვიდნენ და მე ვიხილე მათი გასაოცარი ტატივი ჩვენს გარემოში. ეს იყო ენითალუნერელი სანახაობა და სრული ზე-ჰარმონიული ქაოსი! ჩვენ ვცეკვავდით, ხოლო ღრუბლები და კონტურები ჩვენ შორის ირეოდნენ და არ გვეხებოდნენ. მერე, უცებ, საერთოდ გამინათდა გონება, და უცრად მივხვდი: რომ ცეკვაც ენაა... რომ ყველა მოძრაობა რალაცას ამბობს და ნიშნავს! და არათუ ნიშნავს — რალაცაზეც გესაუბრება... რომ ადამიანებს უბრალოდ დაავინყდათ მოძრაობათა მნიშვნელობა და დანიშნულება... რომ ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა გაიხსენონ ადამიანებმა თუკი ოდესმე სურთ მისვლა აბსოლუტურ ჭემარტიგებასთან!
 „ჩვენ შეგვიძლია გავხსნათ ოფიციალური კურსები, ვენია!“ — ვიყვირე მე.
 „მეც ზუსტად იგივეს ვეხვეწებოდი ქალბატონ ანა-სოფიოს!.. მაგრამ იგი მაინცდამაინც ინტურისტებზე მთხოვდა გასვლას. მეც მიწევდა კვირაში ერთხელ ჩვენს „შერატონში“ წანწალი, მაგრამ ისინი არ მომეფერებოდნენ... ხომ ხედავთ როგორ მაცვივა?... და შესაბამისად ამ საქმიდან არაფერი გამოგვივიდა.“

14. მე თვალწინ მაშინვე დამიდგა სასტუმროს შესასვლელი კარები და იქიდან კინისკვრით გამოკედებული ჩვენი დენშიკი, ასევე უცხოელთა დამცივებული სახეები, მაგრამ ამის მაგივრად ვთქვი:
 „ყველა უცხოელს თავი ისედაც ქუდში აქვს!“

ეს ბრაზი არ იყო; ეს მორიგი საცეკვაო პას ჩატარების წინაპირობა გახლდათ. ასეც მოვიქეცი და აქაური ხალხური ცეკვის თანახმად მარცხენა ხელი განზე გავშალე, მარჯვენა კი გულზე მივიბავუნე.

და როდესაც აღარ დარჩა არაფერი, არც ცხენი, არც ძალი, არც ვირთხა, როდესაც ციხისთავის ბრძანებით აიკრძალა მიცვალებულთა დამარხვა და თითოეული ქალაქის მაცხოვრებელი, სიკვდილის მუქართ, იძულებული შეიქნა მყისვე ეცნობებინა მორიგი დანაკლისის შესახებ, რათა რჩეული სამეფო მზარეულებისაგან (ოდესღაც ალტაცებამ რომ მოჰყავდათ სხვადასხვა მეფენი თუ დიდებულნი) შემდგარ სპეციალურ ჯგუფს, დროის დაუკარგავად აეგუზებინა ქალაქის მთავარ მოედანზე, ორ უზარმაზარ ბოძზე ჩამოკიდებული, ვეება თუჯის ქვების ქვეშ ცეცხლი და ამით ეცნობებინა მორიგი სამიწეული, მაგრამ მაინც ასე ნანატრი ულუფის მოახლოება (თუმცა ისეთებიც მრავლად აღმოჩნდნენ, ვინც ესოდენი გაჭირვების მიუხედავად, მაინც ენინააღმდეგებოდნენ დადგენილ წესებს, თავის მიცველებულს ჩუმად, უკუნეთ ღამისას აბარებდნენ მინას, საკუთარ ეზოში, მიერუბული ქუჩების, წინასწარ ამოყრილი და შემდეგ სახელდახელოდ, ისევ ზედ დაგებული მოკირწყლული ფილაქების ქვეშ, ან სულაც, რომელიმე მიტოვებულ და სარეველებით დაფარულ ძველ საფლავში, რომლის კანონიერი პატრონი, ვინ იცის რამდენი წლის წინ შეეჭამათ, ღრმად, მინის სიღრმეში მობინადრე ჭია-ლუებს. მაგრამ ასეთები, აქა-იქ თუ გამოეროდნენ და ძალზედ ცოტა ხანი ცოცხლობდნენ, რადგან სხვა, „კანონმორჩილი“ და მიცვალებულ-ჩაბარებული მოქალაქეების საოცრად დაკვირვებული თვალები, მყისვე ამჩნევდნენ საკუთარი რიგების შეთხელებას და თუ უეცარი გაუჩინარების დღე არ ემთხვეოდა ქალაქის მთავარ მოედანზე კოცონის აგუზგუზების დღეს — საჩივრელად გარბოდნენ, რის შემდეგაც „კაცი-მალეები“ (ასე უწოდებდნენ დამნაშავეებს იმ დროში) ჯერ ეშაფოტზე ამოჰყოფდნენ თავს, ხოლო შემდეგ საკუთარი მიცვალებულის ადგილს იკავებდნენ, სწორედ იმ, ვეება თუჯის ქვებში და ქალაქშიც კიდევ ერთხელ დატრიალდებოდა ნაცნობი, გულისამრევი, და მაინც ასე თავბრუდამხვევი სურნელი). და როდესაც უბრალო ტყავის ქამრის ფასს, რამდენიმე რჩეული ბედაურის ფასს გადააჭარბა, როდესაც ყველაწარმა ოქროულობამ, თუ ძვირფასეულობამ დაკარგა ღირებულება, როდესაც ხელახლა გაიღებოდა, უკვე ვინ იცის რამდენჯერ გაღებულ და შემდეგ გადმოფურთხებული ხის მერქანი — ქალაქის ყველაზე მაღალი სამრეკლოს ჩამაგებულმა დიდა ზარმა, მთელი ოცი წელი ჩაძინებული ყორანივით, მდუმარედ რომ გადმოჰყურებდა არე-მარეს — ხმა ამოიდა, სამჯერ დარეკა და მისმა მჟღერმა, ძლიერმა ზარუნმა, დაგვიანებული დესპანით შემოურბინა ქალაქს. ჩაიქროლა თითოეული ქუჩაზე, შეძვრა თითოეული ჩიხში, შეალო ყველა კარი, ყველა ფანჯარა, შეიჭყიტა ყველა სადარბაზოში და უკვე თითქმის აჩრდილებად ქცეული მოსახლეობა, მთავარ მოედანზე შეჰყარა.

ქონგურებზე მდგომამა, ოდესღაც ახოვანმა და ბეჭვანიერმა მეციხოვნეებმა, მხოლოდ ძვალი და ტყავი რომ დარჩენილიყვნენ უზარმაზარი ჯავშნის ქვეშ და ასე მშიერ-მწყურვალნი, ოცი წლის განმავლობაში ფეხმოცვლელები რომ იდგნენ სადარბაზოებში შუბებს დაყრდნობილი, გალავანს იქეთ, საიდანაც ადრე უღრანი, მწვანე ტყე იწყებოდა — გაიშვირეს თავისი გამხმარი, დაუძღურებული ხელები და ქონგურებზე გამოჩენილმა ციხისთავმა, რაც შეიძლება ხმაშიაღა შესძახა:

— ალყა მოხსნილია! დიდება უფალს! ხალხი კი დუმდა. ნუთუ ყველაფერი დამთავრდა? ნუთუ წავიდნენ? ციხისთავის ბრძანებით, რამდენიმე, ჯერ კიდევ ყოჩაღად მყოფი მეციხოვნე, საიდუმლო კარებით გაიგზავნა არე-მარის დასაზვერად, ხომ შეიძლება მოალყვები კი არ ნასულიყვნენ, არამედ აქვე, ტყის სიღრმეში შემალულიყვნენ და შეცდომას ელოდნენ, შეცდომას, რომელიც ამდენი ხნის ფუჭად ჩავლილ დროს აუნაზღაურებდათ.

ხალხი მოლოდინში გაიტრუნა. ყველა თავისთავის ფიქრობდა, ხელჯახიანი მოხუცები, იმ დროს იხსენებდნენ, როდესაც ცხოვრება ახლანდელი ქალაქის ცენტრში, ორ დიდ ბოძზე ჩამოკიდებული ვეება ქვების შიგნით მოქცეული წყალივით დუღდა და თუხთუხებდა, შორეული ქვეყნებიდან პილიგრიმებისა და ქარავენების

თვალწინდელი რიგები, აქეთ, ამ წმინდათა-წმინდა ქალაქისაკენ მოედინებოდნენ, ქალაქისაკენ, რომლის ალაყაფის თავიდან ორი, შუბ მომარჯვებული ანგელოზის ქანდაკება გადმოხრილიყო მინისაკენ. ლეგენდის მიხედვით, ეს ორი, დაუღალავი მცველი, თავად ღმერთს გაემწესებინა ზედ შემოსასვლელზე და დავალებაც მიეცა, დაეცათ ყველა მორწმუნე და შეემუსრათ ის ურწმუნოები, ვინც ქალაქში შეპარვას ეცდებოდა და მართლაც, ამ გაუცინარი და შემზარავი ფრთიანი მცველების შუბის წვერები, ისე ახლოს ჩამოსულიყვნენ მინასთან, რომ, თუ ძალზედ დაბლა არ იყავი, მათი ნანვრეტებული და საოცრად ბასრი თავეები, შენს ქორწინებაში, როგორც უღელში შებმული ხარების მიერ, ყანაზე გადატარებული გუთანი, ისე გაივლიდნენ და შეიძლება სადღაც გაეკანრეთ კიდევ. ამიტომ ადრე, ალაყაფი ყველაზე უსიამოვნო და სამიში ადგილი იყო მთელს ქალაქში. შესვლისას,



დათ ეს-ესაა მინა ორად გაიყო, ქვესკენი-ლიდან ჭინკები და ეშმაკები ზემოთ ამოძვრნენ და ახლა თავის საბრძოლო სიმღერებს ასრულებდნენ, სხვადასხვა ზღაპრულ მხეცებზე ამხედრებულნი. მრავალი ცნობისმყოფარე შეიწინა ამ უცნაურმა ხმებმა, მაგრამ ეს ძალიან ადრე, ალყის პირველ წლებში ხდებოდა, ზოგი, მაღალი კოშკების თავზე ცდილობდა აძრომას, ზოგი საიდუმლო კარებებს ეტანებოდა, ყველაზე თავზეხელაღებულებს კი, გალავანი იზიდავდა, არენა, საიდანაც საუკეთესო ხედი იშლებოდა. მაგრამ მეციხოვნეებს არასოდეს ეძინათ ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, გადასაჭყეტად ნასული ადამიანი უკან დაბრუნებულიყო, ურჩ მოქალაქეებს ადგილზე კლავდნენ, ქვების გაჩენის დღიდან კი — ხარშავდნენ. მაგრამ როდესაც ის თაობა, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვდა ქარავენები და პილიგრიმები, ტყე და მდინარეები — დაბ-

ლადო კლასონია

ლებენდა ალყაზე



ისეთი გრძობა გეუფლებოდა, თითქოს მალიდან ხელს გისვამენ, გეფერებინან, მაგრამ ამასთანავე გამომზებენ, რწმენით ხარ თუ არა, ცდილობენ სულში ჩაგიძვრენ, გახსნან ყველა დალუქული სკივრი, მივიწყებული, ბნელი ოთახების კარები, ჩაიხედონ თითოეულ დამშრალ და ხავს-მოდებულ ჭაში. იყო შემთხვევები, როდესაც აქეთ, წლობით, მომავალი ხალხი, ვინც ათას ფათერაკს გაუძლო, ათასი უღაბო და სამიში ადგილი გამოიარა, ვერ უძლებდა ამ გამოცდას, ცდილობდა შუბის წვერისათვის თავი აერიდებინა, გვერდზე ინოვდა, წელში იხრებოდა და ქალაქის ალაყაფიდანვე ბრუნდებოდა უკან.

მაგრამ მერე გამოჩნდნენ ისინი და ყველაფერი შეიცვალა, არავინ იცოდა საიდან მოვიდნენ, ან ვინ იყვნენ, უბრალოდ ერთ დღესაც ჭიანჭველებივით მოადგნენ ქალაქს, ალყა შემოარტყეს და დადგნენ. შეტაკება მარტო პირველ დამეს მოხდა, ისიც ძალიან პატარა. დაიჭრა ორი მეციხოვნე და ოთხი მოხმადური, რის შემდეგაც მოალყვებმა უკან დაიხიეს, არ ყოფილა არც მუქარა, არც ულტიმატუმი, არც მოლაპარაკება, არაფერი, ისინი გაჩერდნენ, ლოდინი დაიწყეს და ოცი წელი ელოდნენ — რას? ეს არავინ იცოდა, არც ის — რითი იყვნენ დაკავებულნი მთელი ამ ხნის განმავლობაში, რადგან შეტაკებების მეორე დღესვე, ციხისთავის მკაცრი ბრძანებით, მოსახლეობას აეკრძალა გალავანთან მისვლა, ხოლო მეციხოვნეებს გალავნიდან ჩამოსვლა. იმავე საღამოს, ყველა გალავნის მცველს გაგარვარებულ და ნაწილად მოაჭრეს ენა, ტრადიცია, რომელიც დღემდე გრძელდებოდა, მეციხოვნე მხოლოდ სიკვდილის შემთხვევაში ემშვიდობებოდა საკუთარ ქონგურს, ხოლო მის ადგილზე მოსული ვალდებულ იყო დამშვიდობებოდა ლაპარაკის უნარს, რათა ვერავისათვის მოეყოლა ის, რასაც ნახავდა.

გალავანს გარედან კი ხმები ისმოდა, უცნაური, საშინელი ხმები — ბუკი, ნალარა, გაუგებარი სიმღერები თუ შეძახილები, სხვადასხვა საკრავები, ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა და რაღაც ენითაუნერელ ხმაურს ქმნიდა, გეგონებო-

ერდა, დაუძღურდა, უარეს შემთხვევაში კი დაავინყდა — უცნაური ხმებისადმი ინტერესი გაქრა და აღარ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, გადასაჭყეტად გაპარვისა. ქალაქი ჩაკედა. საქარავნო და სავაჭრო გზებმა სხვაგან გაუხვიეს, მოუვლელობისაგან ანგელოზებსაც შეეპურათ ბზარები, აქა-იქ ფრთებიც ჩამოემტვრათ, ის გრძელი შუბებიც დაუზღავდათ და ერთ დროს წმინდათა-წმინდა ადგილი, რომლის სახელი მეხივით ქუხდა ქვეყანაზე, უბრალო წარწერად იქცა, მოძველებულ და უკვე დასანავად გამზადებულ, ხარის ტყავის რუქებზე.

ალყამ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, როგორც თამაში შეპარულმა ჭაღარამ, შეცვალა ქალაქი, მდიდრები გააღარიბა, ღარიბები გაამათხოვრა, მათხოვრები ყაჩაღებად აქცია. ჯერ ძალებზე, კატებზე და ვირთხებზე მონადირე დაჯგუფებები შექმნა, შემდეგ, ტყავის ტანსაცმელზე, ან ფეხსაცმელზე მომუშავე რესტორნები თუ სასადილოები, ჩუმ-ჩუმად ქურდიებისაგან და მკვლელებისაგან რომ ყიდულობდნენ „პროვიზიას“, ხოლო ბოლოში, ის საშინელი ქვაბი გააჩინა, ქალაქის მთავარ მოედანზე რომ ჩამოიკიდა, მეფის სასახლეში მოჭრილი ორი ასწლოვანი მუხისაგან კავებულ ხის ბოძებზე, რომლებიც ადრე თავისუფლების სიმბოლოს წარმოადგენდნენ.

ქვების გაჩენას უზარმაზარი არეულობები მოჰყვა, აღმფოთებული ხალხი ქუჩაში გამოვიდა და ქალაქის ნგრევას მიჰყო ხელი, საქმე იქამდე მივიდა, რომ ციხისთავი იძულებული გახდა დაერღვია საკუთარი ბრძანება და ხალხის დასაშოშმინებლად, ქონგურებიდან მოეხსნა მეციხოვნეთა ნაწილი, რომლებმაც იარაღის ძალით ალაღვინეს წესრიგი, თუმცა მღელვარება მაინც არ შეწყვეტილა. მოქალაქეები მოითხოვდნენ ქვების საჯაროდ გადადნობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის ალაყაფის გაღებით იმუქრებოდნენ.

— ცხოველები ხომ არ ვართ! ჩვენც ხალხი გვქვია! — გაიძახოდნენ ისინი. მაგრამ წლებთან ერთად ალყამ თავი-

სი გაიტანა, ბეღლებში პურის მარცვალმა იკლო, ხოლო ქალაქის ცენტრში ქვების წინ შეგროვილი, თიხის ჯამებ ხელმომარჯვებული ხალხის რაოდენობამ იმატა. ისინი მოდიოდნენ, ფეხმორთხმით სხდებოდნენ, ჯამებს მალა, ცისაკენ სწევდნენ, ოდნავ წინ იხრებოდნენ, როგორც ახლად ამოსული მინდვის ყვავილები მზისაკენ და ასე, გარინდულნი ელოდებოდნენ კუთვინელ ულუფას. და აი, ახლა მოალყვეები წავიდნენ, ისევე უეცრად და გაუგებრად, როგორც გამოჩნდნენ. უცნებელი დაბრუნდნენ დასაზვერად გაგზავნილი მეციხოვნეები და როდესაც, მთავარ მოედანზე, უკანასკნელი საალყო ბრძანების გასაცემად, საზეიმოდ, მენამულ ლაბადაში გახვეული ციხისთავი გამოჩნდა, ქალაქის ყველაზე მოხუცმა მცხოვრებმა, წელში მოხრილმა და ხელჯახს დაყრდნობილმა, ლევემ, რომლის უგრძესი თეთრი წვერი, როგორც ჩანჩქერი, ეცემოდა მოკირწყლულ

ფილაქანზე, ასწია დამძიმებული ქუთუთოები, ირგვლივ მყოფებს გადაავლო თვალი და თავისი ბოხი, მქუხარე ხმით, სიბერეც რომ ვერა დააკლო რა, შესძახა:

— მეფე! სად არის მეფე? და უეცრად ყველას გაახსენდა ის ღამე, როდესაც პირველი შეტაკების შემდეგ, ციხისთავის თხოვნით (და არა ბრძანებით), სამეფო ოჯახი, მისივე უსაფრთხოებისათვის, ქალაქის ყველაზე დიდ და ღრმა მღვიმეში გაშენებულ მინისქვემა სასახლეში იქნა გადაამალული.

როგორც აქაური ლეგენდები ამბობდნენ, ეს სასახლე, ქალაქის პირველი მეფის ბრძანებით აშენებინა გენიალურ არქიტექტორს, ეუღარღაი ქილიფთაში. ასი ათასი მონა, ათი წლის განმავლობაში რომ მოჰყავდათ უცხო ქვეყნებიდან, იმ დაუსრულებელ ქარავნებს და მღვიმეში ყრიდნენ, ორმოცდაათი წელი ეზიდებოდა უზარმაზარ მარმარილოს ქვებსა თუ ასწლოვან მუხებს მინისქვეშეთში. ორმოცდაათი წლის მანძილზე ისმოდა მინის სიღრმიდან, წერაქვების და ნაჯახების უთავბოლო კაკუნი, ჩაქუჩებისა თუ უროების ბაგა-ბუგი, ზედამხედველების მკაცრი ბრძანებები, შოლტის ზუზუნი და გამამხნეველები შეძახილები. საღამოობით კი, როდესაც მიწყდებოდა სამუშაო იარაღების ხმა, მღვიმის სიღრმიდან, ქალაქის ვიწრო ქუჩებში, შორი ქვეყნებიდან მონაბერი ნიავივით იჭრებოდა, მონების ხმაშენწყობელი, სრულიად უცხო და სევდიანი სიმღერები.

ასეთ დროს მღვიმის ჩასასვლელთან, რამდენიმე მეციხოვნე რომ იცავდა მხოლოდ, აუარება ხალხი იყრიდა თავს, დედებს შვილები მოჰყავდათ, ბიჭებს შეყვარებულები, ახალგაზრდები მობერებულ მშობლებს ამოსდგომოდნენ გვერდში. აქ მოდიოდნენ მათხოვრები, ავადმყოფები, დიდებულები, ციხისთავიცა და მეფეც. იმლებოდა უზარმაზარი სპარსული ხალჩები, უძვირფასესი ნოხები თუ ხელითნაქსოვი უბრალო გადასაფარებლები,

დასასრული მე-13 გვერდზე

კასიოპა

(სამი უკულმა სიმღერა)

ნატო ინგოროყვას

„ნეტავ რით ფიქრობ, გაფანტულო, თავით იფიქრე, ამბობს დედა და თეთრ ზენარზე ცხელი უთოს კვალს, ამბობს დედა და იატაკზე რძის მოზრდილ გუბებს, ამბობს დედა და რკინის კარში ჩაყოლილ თითებს ათვალეირებს დანანებით. მე კიდევ მუხლისთავით ვფიქრობ, მე კიდევ ძუძუსთავით ვფიქრობ, დღეს უნდა შეგხვდეთ“.

ეს ჩემი ძველი სიმღერაა, ვმღეროდი მანამ, სანამ სიმღერა სარჩულად არ გამოვაკარი ჩვენს არაფრისმთქმელ მისალმებებს, ასე გავჩუმდი – ეს ნიშნავს, რომ პირიქით ვმღერი.

„ჩააქრეთ ყველა ბრა და ჭალი, აბაჟურები, ტორშერები, მთვარე და მზე და ვარსკვლავები დამარხეთ გზიდან მოშორებით, დაკეცილ ყველა ხმა და წყალი, კარი, წიგნი და ჩემოდანი, დღესასწაულის ვერცხლის სინზე საკუთარ თავის შემოტანა პირველ კერძად და დაყოლება სხვისი, ყლუპ – ყლუპად, დაყოვნებით, პურის კი არა, ოქროს ზოდის უნდა ვისწავლო გამოზოგვა“.

ეს ჩემი ძველი სიმღერაა, ვმღეროდი მანამ, სანამ სიმღერა სარჩულად არ გამოვაკარი ჩვენს არაფრისმთქმელ მისალმებებს, ასე გავჩუმდი – ეს ნიშნავს, რომ პირიქით ვმღერი.

“მაინც ვერ მოვკვდი, ცას უკულმა გამოვეკერე, და გადამფრენი ფრინველები ჭორფლებს მიჭამენ, ხელი დამიცდა ცივი ოფლით მოლიპულ ცაზე, ბგერა კი არა, სუნთქვაც აღარ დამყვა მინამდე, თითქოს ბამბაზე ამოღერილ თავთავებს ვმკიდე ისე ახლო და მარტივია სამყაროს კიდე“.

ეს ჩემი ძველი სიმღერაა, ვმღეროდი მანამ, სანამ სიმღერა სარჩულად არ გამოვაკარი ჩვენს არაფრისმთქმელ მისალმებებს, ასე გავჩუმდი – ეს ნიშნავს, რომ პირიქით ვმღერი.

ითაკა

როგორ აგისხნა, განა ერთი ბგერა წყვეტს რამეს, უბრალოდ მინდა, არასოდეს მომმართო გვართი, და მეც არასდროს გაგახსენებ მშობლიურ ქალაქ კონსტანტინოპოლს, ბერძნების ქუჩის მესამე ჩიხს, ცისფერ ალაყაფს, თხის თბილ რძეს თიხის ფიალებში, ზეთისხილის მწიფე სიგლუვეს,

ჩემს ლურჯთვალემა მეზღვაურ პაპას.

როგორ აგისხნა, ერთი ბგერა არაფერს ნიშნავს, უბრალოდ მინდა არასოდეს მომმართო გვართი და მეც არასდროს გაგახსენებ მშობლიურ თბილისს, მის მონაცრისფრო გარეუბანს, აყრილ ფილაქანს, ბავშვობის სკვერში მამაჩემის ბრინჯაოს ბიუსტს, ზამბახებს სკოლის ლობის გასწვრივ,

ჩემს შავთვალემა მეზღვაურ პაპას.



დიანა ანტიმიადი

როგორ აგისხნა, ერთი ბგერა ვერაფერს შეცვლის, ამიტომ მინდა არასოდეს მომმართო გვართი, და მეც არასდროს გაგახსენებ თიხის ქობს კონგოს ნაპირებთან, წყლის ღმერთებსა და ცეცხლის ღმერთებს ღმერთთიტებსა და ღმერთყვავილებს, დილით – ღმერთსხივებს ფანჯარაში. . . საღამოობით ბაც ღმერთრდილებს, ღმერთკოცნებსა და ღმერთშეხებებს,

ჩვენს თეთრწვერიან ბრმა ღმერთპაპას.

როგორ აგისხნა, ვერაფერი ვერაფერს ვერ ცვლის და არც სახელით და არც გვართი არასდროს უნდა მომმართო, რადგან არ არსებობს ჩემი და შენი, და ყველა ომში, როგორც სახლში, ისე ებრუნდები.

მელაა

ის, ვინც საკუთარ გამონაბოლქვ სუნთქვას გაჰყვება უცხო მხარეში – გასაქცევად დაეძებს მიზეზს, რადგან ერთ დღესაც აივსება ყველა ბელელი და მოხარული ხორბალიც კი აბიბინდება.

ის, ვინც ღრუბლიდან შუა ზღვაში გადავარდება – გასაქცევად დაეძებს მიზეზს, რადგან ვერცერთი, თუნდაც შავი, ზღვა ვერ დაგახრჩობს თუკი შენი სახელი ჰქვია.

ის, ვინც საკუთარ ტყავს გაიხდის, დარაჯს მიუჩენს – გასაქცევად დაეძებს მიზეზს, რადგან ერთხელაც ეძინება ყველა გველეშაპს, ყველა სიფრთხილე და სიფხიზლე დასაძლევი.

ის, ვინც მინდორში კბილებს დათესს – მოიმკის შიმშილს – გასაქცევად საჭირო მიზეზს, რადგან მინიდან ამონვერილ ყველა გოლიათს ფესვებს მაინც მახრა შეუჭამს.

ის, ვინც უცხოელს შეიყვარებს (სწრაფმავალ ხომალდს), გასაქცევად დაეძებს მიზეზს, რადგანაც ყველა იმ მდინარის პირას ბრუნდება, სადაც ცალი სანდალი დარჩა.

შენ, ვინც საკუთარ თავს დაეძებ, ნუ მოხვალ ახლოს, ღამე მინდორში გაათენე, დიდი ხანია მდინარეებს არ მოაქვთ ოქრო, მხოლოდ თევზები ანათებენ, და სიტყვებს შორის მანძილები მიჩირქდება, მიმიზეზდება, გზები რომ არა, დაგტოვებდი, მოგიბეზრებდი . . .

და ისე მშვიდად, როგორც ნიმიფა ტანზე რძეს ივლებს, – მეც გასაქცევად დავეძებ მიზეზს – ვხოცავ ჩვენს შვილებს . . .

კლიტამენსტრა

ჩემი ქმარი ხარ – შერაკლე ხარ. ყოველ საღამოს ომში მიდიხარ, ყოველ დილით ველარ ბრუნდები.

მე შენს დაღლილ და მტვრიან სხეულს რძით, ზეთით განვბან, მერე კი თავთან დაგიჯდები – შენი ლამაზი, მგლოვიარე, ერთგული ცოლი.

ჩემი ქმარი ხარ – პერსევსი ხარ. ყოველ საღამოს ომში მიდიხარ, ყოველ დილით ველარ ბრუნდები.

მე შენს დაღლილ და მტვრიან სხეულს რძით, ზეთით განვბან, მერე კი თავთან დაგიჯდები – შენი ლამაზი, მგლოვიარე, ერთგული ცოლი.

ჩემი ქმარი ხარ – თეზევსი ხარ. ყოველ საღამოს ომში მიდიხარ, ყოველ დილით ველარ ბრუნდები.

მე შენს დაღლილ და მტვრიან სხეულს რძით, ზეთით განვბან, მერე კი თავთან დაგიჯდები – შენი ლამაზი, მგლოვიარე, ერთგული ცოლი.

ეს ვინრო მხრები – შენი ვინრო თვალსანიერი, ნითელ ხალიჩად ენას გიფენ – გმირო, იარე . . . და რადგან ცოცხლად ვერ ტოვებენ გმირები ბრძოლას, შენივე სისხლის აბაზანას გიმზადებს ცოლი.

ჩემი ქმარი ხარ.

იფიგენია

სალომე ბენიძეს

ვდგავარ – ეს ნიშნავს, რიგრიგობით ვეყრდნობი ფეხებს, ფრთხილად ვუნაცვლებ, მერე ხელებს ადგილს ვუძებნი, კაბას ვიქაჩავ მუხლებისკენ, ნახევარსუნთქვა

ფრთხილად ეხება თანდებულებს, სიტყვის ფუძემდე ვერ აღწევს, ვდგავარ, ცალი მუხლი ოდნავ მოგხარე, მხრები

დამბალი სარეცხივით მაგრად გაწურე, მერე ფეხებიც დამიბუჟდა, თითქოს ზღვის ფსკერზე ყველა მედუზა და ზღვის ცხენი ერთად გაცურდა.

ვდგავარ — ეს ნიშნავს გელოდები, ჩემს ოქროსფერ თმას ცხელი შუადლე ოქროს ქვიშად დაანამცეცებს, საშოს ყვავილი გაიფურჩქნა მუდმივ ჭრილობად, შემოვეფარე ჩემი კაბის მსუბუქ ნაკეცებს.

ვდგავარ – ეს ნიშნავს, რომ გიყურებ, რაც თავისთავად, იმას ნიშნავს, რომ დანახვისთვის მზერა მომნიფდა, და სხვისი ომი – ჩემი ომი და ჩემი ომიც – ჩემი ომია, სხვისი ომი - ჩემი ქორწილი.

ეს ერთადერთი მიზეზია რატომ არ გკოცნი – თავი სამსხვერპლო ზვარაკივით კისრიდან მომწყდა.

ბესო ხვედელიძე

მობრძობის შემსწავლელი კურსები

დასასრული

დენშრიკი უცებ გაინახა და ჩემი ამ აშკარად მამაკაცური ჟესტის პასუხად ხელები ქალურად ნახად ჩამოყარა, ხელისგულეები უკან გაიშვირა და თავი მორცხვად დახარა.

„ეგეტ მეშინია უგუნურებას ჩემგან ნუ ელი!“ – ვთქვი მე.

„მამ მხოლოდ ოფიციალურად?“ – აც-მუყდა დენშრიკი.

„...განცხადების ტექსტია შესადგენი! დაბრძანდი მაგიდასთან, აგერ კალამი და აგერ ქალაღი... ესე იგი, დასწერე — გათავაზობთ... რას ეთავაზობთ?“

„რას აღარ, უფროსო!“

„მოიცა... სდექ! ჩასწერა — ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების... ტრადიციულად გამოყენებადი 3 პროცენტის ზრდა! სამომავლო პერსპექტივა — 100 პროცენტი. მიეცი მისამართი...“

„სხვანაირად ჯობია, უფროსო! ნაკლები კონკრეტულობა და მეტი ბუნდოვანება... მეტი მოვა, მე ვიყო განდონი...“

„უზინცა!“ – მიუხვდით მე დენშრიკს გულსთქმას. „მამინ, ესე იგი... ჩასწერა — გათავაზობთ... სრულ და უმტკივნეულო 100 პროცენტის კონსოლიდირებული გასხვივების...“

15.

ალტაცებულმა დენშრიკმა განცხადება სწრაფად გააშანშალა ბოლომდე. დანარჩენი ტექნიკის საკმე იყო. მერე ჩვენ საცეკვაო ილეთების შესრულება განვაგრძეთ.

„ეს დღესვე განცხადებების გაზეთში!“ – ვუბრძანე მე ვალსის ცეკვისას.

„ჩათვალე, რო უკვე მიცემულია, უფროსო!“

„კლიენტთა მიღების საათებს ხვდები ალბათ. თუ პაციენტთა... რა მნიშვნელობა აქვს... სიბნელეში ჯობს... ჩაუბნელებთ ბოლომდე აქამდე მსოფლხედება და სტერეოტიპებს... დავიწყებთ ბარემ...“

„ხვალდანვე! მე მიყვარს ტემპი! მე ხომ ნაციონალისტი ვარ ბუნებით, უფროსო!“

„ხვალდან ვერ მოესწრება... რეპეტიციები იქნება საჭირო! განცხადება დღეს რომ ნაილო, ხვალემდე მაინც ვერ იქნება...“

„მამინ ზეგადან იყოს!“

„რა თქმა უნდა ზეგადან...“ – დავეთანხმე მეც, იქვე ოსური საცეკვაო პა შევასრულე და დენშრიკიც დაფაცურდა. ის მაშინვე გაქანდა უახლოეს რედაქციაში ამ განცხადების მისაცემად, მე კი დამტოვა ერთი-ერთზე კანონიერ ფართთან და ჭერ-იდან ჩამოსულ ღრუბელ-კონტურებთან...

16.

რამდენი ვიცეკვე... რამდენი ველაპარაკე საკუთარ თავს დენშრიკის დაბრუნებამდე. არადა, მეგონა რომ ლაპარაკი სულ არ მეხერხებოდა... ახლა კი, მე ზედმინდევით ზუსტად ვიცი, რაც მეცოდინება მომავალში.

მე მეყვარება ჩემი სახლის კარიდან ქუჩის ბოლომდე გაკლაკნილი ხალხის გრძელი რიგი... და მას იქაც არ ექნება ბოლო — ის გაუხვევს მარცხნივ და უსასრულოდ მარცხნივ და სულ მარცხნივ. იქვე წარმომიღდა გონებაში რიგში ჩანერილ ადამიანთა სიები, მეგაფონი, მავანთა გნისი და ველური გამოხტომები. ტალახიანი ნიხლი, სველი მუშტი, ცივი და ცხელი იარაღის ტრიალი. ასევე წარმომიღდა განვითარებულ ქვეყანათა საელჩოთა მისადგომები, სადაც ყოველთვის ზუსტად იგივე ხდება. აგრესიული რიგები და რიგები... მაგრამ ცეკვა აქ არ მთავრდება. მთავარი ცეკვა ახლა იწყება, და ეს იქნება ბოლო, უკანასკნელი ქორეოგრაფიული სიტყვა ამ წყნელ სამყაროში, და ეს იქნება სრული სეტყვა, თავსხმა და ბომბების ჩამოყრა! ისინი ყველანი დომინოს პრინციპით აფეთქდებიან. და ეს სამყარო რაა რო? ჰალუცინაცია? ბოღვა? არარსებულის გახსენება თუ მოგონება? არ ვიცი. მე ამ წამს ძალიან კარგად ვარ. მე ამ წამს ყველაზე კარგად ვარ. მოლით და მოლით. ყველანაირად შეი-

სყიდეთ ჩემთან ყოფნა გიროთი და განცხადებით!.. ნუ გაუშვებთ ხელიდან უნიკალურ შანსს! მე და ჩემი დენშრიკი ვაპირებთ ზეგიდან ჩვენგან შევქმნათ ეს სამყარო! გამოვუცვალოთ ყველა ადამიანს აზრი, არსი, ნდომა, შინაარსი... ჩვენ გავეხსნით და გადავეხსნით უამრავ ტვინსა და სულს, ბოლომდე ავაფრენთ მტრედებს და ლამურებს! ეს იქნება საყოველთაო ტრანს-კარნაული, იგივე მსოფლიო კორდეტალეტი უხმო და მუნჯურად. მას დღითი-დღე შეემატება უქველი ნევრები და ჩვენ ძალიან გავმრავლდებით! ჩვენ აღვივებით იმ საიდუმლოთი, რომელიც ყველაზე და ყველაზე უფრო მთავარია, და რის შეცნობასაც ყველაზე, ყველაზე მთავარს შეცნობა ჰქვია... ზეგამდე მთელი ორი დღეა. დენშრიკიც არ ჩანს. მოვა, მამ სად წავა. მე მას პლანშეს ან გრიმოს დავაკრებ და ჩვენ საბოლოოდ დავუბრუნებთ კაცობრიობის გონს ბრილიანტის კარბუნულს. ჩვენ გვეყვლება თანამზრახველები, მეგობრები, სულიერი ნათესავები... ჩვენ მოვიგებთ ყველა ომს და ყველა მშვიდობას, ყველა ხმაურს და ყველა მიქნევარებას, ყველა დანაშაულს და ყველა სასჯელს, ყველა ალის და ყველა ნინოს, ყველა ვასკოს და ყველა გამას... სადაა დენშრიკი? ეს რა წერილია? საცოდავი ანა-სოფიო... რას ვერ მოესწრო? ყველაფერი ხომ წინაა... მე მისი რჩეული მემკვიდრე ვარ! გარდარეული და სიბნელეში ცეკვით მოსაუბრე, ბნელში მოძრაობით ყველაფრის ამხსნელი და ყველას სიბნელის გადამხსნელი, მის-დენშრიკიანი, ვისაც მისივე თქმით მხოლოდ ჩემი ბინა უნდა და მხოლოდ... ამ დროს თითქოს ვინილის ფირფიტის საკრავ ნემსს გაეკანროს ჩემი გონება — ისეთი ხმა მომესმა სადღაც შიგნიდან... და წინ რა გველი? სადაა დენშრიკი? — დღის გემამში რა გვინერია... კოიტუსი?... ეს კერძი უნდა იყოს რაიმე — ძალიან ეგზოტიკური და უცხოვდ სხვანაირი არ-ომატებით... ოოო, ალბათ როგორც დღეს დილით იყო — დღის საარის მანონი შიგ ჩაყრილი თბილი პური და ზედ მოყრილი ნახევარი კოვზი ფხვიერი ჰამში... ამასობაში მომშივებია კიდევ... უკვე საღამოსკენაა. ბნელდება. მე ველოდები კარზე ნაცნობ სამჯერ კაკუნს, და მერე, ალბათ ისევე სრული ქორეოგრაფიული უსაზღვრობა დაისადგურებს აქ! და ახე — სულ წრეზე და წრეზე... არა უშავს... მე უკვე ყველაფერს გაუფიქრებ! მე ხომ ყველას გადასარჩენად უკუნ წყვდი-ადმი ცეკვა გადავწყვიტე! რომელი საათია? სადაა ვენია, იგივე ბენო, ანუ ვენიამინი...

17.

და ბოლოს, ის მაინც მოვიდა ღამებ-ნელში ხელების ფშვნებით და ამჯერად ერთდროულად ორივე ხელი დავარდნილი ასოსავით გამომინდა.

„ყველაფერი ოკეშია, უფროსო...“

„გადასარევი!“

„გაიხდით უკვე?“

„რა დროს გახდაა?... ცივა, ადამიანო!“

„ძალიან სქელი მატერიისაა თქვენი კასტუმ-მარვალ, უფროსო...“

„ინგლისური ველვეტია... სპეც-სპეკე-თა...“

„მამ რა გაცნობა... ცდა ბედის მონახევრეაო...“

„კაი დღე გეკონდა!“

„ლამის საარი არ უნდა ჩავარდეს, უფროსო!“

„აქ არა ვართ?“

„მამ დროა, დავიწყეთ!“

და ჩვენც დავიწყეთ...

18.

ამ თავში უკვე აღარაფერია დასაწერი საექვო შორისდებულების გარდა.

19.

ჩვენი მოძრავი ცხოვრება, ავად თუ კარგად — მაინც გრძელდება.

ლეონდა ალყაზე

დასასრული

ზოგი ნევროდა, ზოგი ფეხმორთხმით ჯდებოდა, უადგილოდ დარჩენილი, ან დაგვიანებული, მღვიმის მახლობლად მდგომ მალალ, ნიფლის ხეებზე ადიოდნენ და იქიდან უგდებდნენ ყურს. აქ არავინ თმობდა საკუთარ ადგილს, თუ დაგვიანებული მოხუცები აღმოჩნდებოდნენ, ახალგაზრდები, ყველანაირად მიეხმარებოდნენ, ააფოფხებდნენ იმ მალალ ხეებზე, გემრიელად მოაკალაებდნენ უშუალებელ ტოტებზე და მერე საკუთარ ადგილებს უბრუნდებოდნენ. საოცარი სანახავი იყო იქაურობა, ძირს გართხმული ხალხი, თვალცრემლიანი და მუბებს დაყრდნობილი მეციხოვნეები, უცნაური, მინის სიღრმიდან ამოსული სიმღერები და მოხუცების, მწვანე ფოთლებში ჩამალული, გრძელი თეთრი ნევრები, ახლადა აფეთქებული აკაციებივით რომ დაჰყურებდნენ მალლიდან.

მაგრამ მინისქვეშა სამეფო ქალაქის აგებისთანავე, მეფისავე ბრძანებით ყველა მონა იქვე ჩახოცეს და დამარხეს, საიდუმლო რომ არ გაემხილათ. იმ ღამეს მამხალბე მომარჯვებული ჯარისკაცები, გუნდ-გუნდად, თოკებით ჩაუშვეს მღვიმეში და ქალაქი შეძრა საშინელმა ამოძახილებში. იმდენად აუტანელი იყო მომაცკდავთა ხმები, რომ მოქალაქეებმა ყურები ბამბით ამოიფარეს, ღარიბები, ვისაც არაფერი გააჩნდა, ხელები აფარებდნენ შვილებს, თვითონაც მთელი ხმით გაჰყვიროდნენ და ამით ცდილობდნენ დაეხმოთ მღვიმის სიღრმიდან ამოვარდნილი ხმები. მინა ისე გაიჟღინთა სისხლით, როგორც კოკისპირული ნვიმის შემდეგ, ქალაქში ნითელი, ნებოვანი ტალახი დადგა და მაცხოვრებლებსაც შეწყვიტეს ქუჩაში სიარული, ჩაფლული, მიტოვებული ურიკები თუ ჩანებბუხი ფეხსაცმელები სარეველა ბალახით მოედო ქალაქს, შეწყდა წივდა, ვაჭრობა, დაიხურა სკოლები, ბაღები, სასაძილეოები თუ სამჭედლოები. ერთი კვირის თავზე კი ხმები მინწყდა, ამოძვრნენ მინისქვეშეთი ჩაგზავნილი ჯარისკაცები და ყველაფერი ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა, უბრალოდ ერთ დროს მომღერალი მღვიმე დადუმდა საშუადამოდ.

ამბობდნენ, რომ იმ სასახლის ბაღალი მორე არ მოიძებნებოდა და რომ იქ, მინისქვეშეთში, დღემდე შემორჩენილიყო მონათა უზარმაზარი, კლდეში გამოკვეთილი საცხოვრებელი და სასაფლაო, რომელიც რამდენიმე ათეულ კილომეტრზე იშლებოდა.

ლევემ ისიც გაიხსენა თუ როგორ წარუძღვა სამეფო ოჯახს და ხუთ მხარბეჭიან, მამხალბე მომარჯვებულ მეციხოვნეს, მინისქვეშეთის სიღრმეში, კოჭლი და ნახევრად შეშლილი — მეში, უკანასკნელი, ქილიფთართა მოდგიდან, ვინც ზეპირად იცოდა მღვიმის ყოველი გოჯი და ვინც აღარასოდეს დაბრუნებულა უკან, ისიც გაიხსენა, როგორ გაუჩინარდნენ სტალაქტიტებისა თუ სტალაგმიტების უსასრულო ტყეებს მიღმა, ჩირაღდნიანი სილუეტები და ამის შემდეგ მათზე არავის სმენია და თუმცა ოცი წლის განმავლობაში, ყოველ კვირა დღეს, მღვიმეში თოკით ჩაშვებული, საჭმლით დატვირთული კალათა, უკან ცარიელი ბრუნდებოდა, ვერავინ გახედა სიღრმეში ჩასვლა. ალყამ, მართალია, ქალაქის გეტყვა ვერ შესძლო, მაგრამ მთლიანად დაიპყრო მაცხოვრებელთა გონება და ნელ-ნელა, წლებთან ერთად, ისევე, როგორც გადასაწყვეტად გაპარვის სურვილი, მინისქვეშა მეფეებზე მოარული ხმები, როგორც უპატრონოდ მიტოვებულ კოცონში ნაკვერჩხალი — ჩაქრა და დავიწყებას მიეცა.

მაგრამ ახლა, ლევეს სიტყვებმა, წარსული მიძინებულ გველეშაპივით გამოალვინა, თავისი საშინელი ხახა დააღებინა და კიდევ ერთხელ გადმოაგდებინა ნითელი ენა. ციხისთავის მორიგი ბრძანებით, გაიხსნა ქილიფთართა, ოცი წლის მანძილზე დალუქული სახლი, თავიდან გაიშვირა და შეისწავლა მტვრიანი ოთახ-

ლაღო კილასონია

ების, მტვრიან თაროებზე ნაპოვნი, დაობებული და ნახევრად შეჭმული რუქები, თუ ნახაზები და როდესაც ყველაფერი მომზადდა, დაიგეგმა, ხუთმა ახალგაზრდამ ნელზე მოიბა უგრძესი თოკი და ყველას თვალწინ, როგორც მყვინთავი ოკეანეში, ისე ჩაეშვა მინისქვეშეთში.

სამი დღე და ღამე, როგორც მდინარის ხუთი წერილი ტოტი, მისრიალებდა თოკი მღვიმის სიღრმეში, მერე უეტრად შედგა, თითქოს გაიყინა, ხალხმა ლოდინი დაიწყო და ოთხი დღის შემდეგ, როდესაც ნერვიულობამ კულმინაციას მიაღწია, როდესაც აღარავის შერჩა, გადაუკვნიტავი ფრჩხილი ხელზე, თოკები ხელმეორედ ამოძრავდა, შეინძრა, ახალგაზრდები, ვისაც ჯერ კიდევ შეერჩნოდა ჯანი, მოუთმენლად ეცნენ დაგრუხილ ბანრებს, მალლა ამოქაჩეს და მღვიმის სიღრმიდან, ხუთ მამაკაცთან ერთად ამოიყვანეს, ორი, საშინლად გამხდარი და მთლად გადათეთრებული ახალგაზრდა კაცი, რომლებმაც მზის სხივების დანახვისთანავე დაკარგეს მხედველობა.

ციხისთავთან საუბარში ორივე ახალგაზრდამ განაცხადა, რომ ისინი მეფის შვილები იყვნენ, სწორედ იმ მეფისა, ვინც ოცი წლის წინ ჩასულიყო მღვიმეში, რომ მეფე, დედოფალი და ხუთივე მეციხოვნე რამოდენიმე წელია რაც გარდაცვლილი იყვნენ და რომ სიკვდილის წინ მამას, ტახტი მათში უფროსისათვის დაეტოვებინა. საკვირველი იყო მხოლოდ ერთი, ორივე მათგანი უფროსობას თვითონ იბრალობდა და ამბობდა — ტახტი ჩემიაო. ხალხი დაბნეულობამ მოიცვა, დაბნეული ჩანდა ციხისთავიც, მაგრამ როდესაც ლევემ უფლისწულებში, იმ ხუთი მეციხოვნეებთან — ორი ამოცნო, ვინც წლების წინ მამხალბებით ხელში ჩაუქდვა ხელმწიფის ოჯახს მღვიმის სიღრმეში, ყველაფერი ნათელი გახდა და “უფლისწულები” საკუთარ სამეფოში იქნენ დაბრუნებული, სადაც ყოველ კვირა დღეს საჭმლით დატვირთული კალათა უშვებოდა.

წარსული ისევ სიბნელეში ჩაიძირა, უენებელი დაბრუნდნენ დასაზვრათ ხელმეორედ გაგზავნილი მეციხოვნენი, მამინ ციხისთავმა უკანასკნელი ბრძანება გასცა, ბოლოჯერ გაიბრძოლა უშვებულბელმა ურდულმა, საშინლად დაიღრჭიალეს დაუანგულმა საკეტებმა, ოცი წლის განმავლობაში დაკეტილი ალყაფის კარი უეტრად გაიღო, გაისმა ჩიტების ჭიკჭიკი, მდინარის ხმაური და ნაცრისფერი კედლების მიღმა მწვანე ტყე ამოიზარდა.

გაოგნებული ხალხი ადგილზე შედგა, მათ სახეებზე ნათლად ჩანდა, რომ არავის სჯეროდა იმისა, რასაც ახლა ხედავდა, ზოგს მხოლოდ ბაბუებისა და მამების ნამბობიდან სმენოდა იმ უცხო ქვეყანაზე, გალავანს იქეთ რომ არსებობდა, სმენოდა და საბავშვო ზღაპრად ჩაეთვალა, ძილის წინ რომ უყვებოდა ატირებულ პატარებს, ზოგს სჯეროდა, ზოგს კი ნანახი ჰქონდა და ვეღარ წარმოეგონებინა. და როდესაც ციხისთავმა პირველი ნაბიჯი გადადგა, გაქვავებული ბრბო უეტრად ადგილიდან მოწყდა და როგორც, მოძველებული და ბზარებგაჩენილი კამხალ-იდან, ასწიფულობით დაგუბებულმა ზღვამ, ისე იხუვლა და მოედო არე-მარეს.

მოსუცივი პატარა, მოუსვენარი ბავშვებივით დაჰქრდნენ აქეთ-იქეთ, მთელი ძალით ყლაპავდნენ ჰაერს, თავისი უკბილო პირით ჭამდნენ ყვავილებს და ხის ფოთლებს, ისემდნენ ჩიტების ჭიკჭიკს, იძირებოდნენ მდინარის ტალღებში, გულალმა ეყარნენ მწვანე მინდორში, ყნოსავდნენ მინას, მალლა ცაში იყურებოდნენ და ვერ ძღებოდნენ.

მხოლოდ ახალგაზრდებმა, ვინც ალყის დროს დაიბადა, ალყაში გაიზარდა და ვისთვისაც მთელი სამყარო მუნჯი მეციხოვნეებით შემორტყმულ გალავანთან მთავრდებოდა, ვერ გახედეს ზღურბლზე გადაბიჯება, ცოტა ხანი უყურეს მხიარულად მოჩაქჩაქე მოხუცებს, შემდეგ შებრუნდნენ და ჩუმად გაუჩინარდნენ ქალაქის ნაცრისფერ სიღრმეში.

შენიშვნა



— ბატონო გასტონ, თქვენი ბიოგრაფია და ლიტერატურული საქმიანობა ქართულ და ფრანგულ კულტურებს ერთმანეთთან აკავშირებს, აახლოვებს. თქვენი არჩევანი — ნასულიყავით ამ გზით — ბუნებრივიც იყო, რადგან ოჯახი, სადაც გაიზარდეთ, თავისთავში ამ ორ კულტურას აერთიანებდა. თქვენს მშობლებზე, თქვენს ბავშვობაზე გვინტერესობს...

— მამაჩემი, სერგო ბუაჩიძე, 1924 წელს საფრანგეთში გაემგზავრა და მის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ კანში პოლიტიკური ინსტიტუტი დაამთავრა. ინჟინერი გახლდათ, ელექტრო-მექანიკოსი. მუშაობდა ჯგუფში, რომელსაც ჩრდილოეთიდან (ცენტრალური საფრანგეთისკენ) ელექტროგადამცემი ხაზები გაყავდა. სწორედ შუაგულ საფრანგეთში, ლა კრეზის პროვინციაში, პატარა ქალაქ ბურგანფში გაიცნო დედაჩემი — გაბრიელა ბრუსი. იქ დაქორწინდნენ და 1934 წლის დეკემბერში ჩამოვიდნენ საქართველოში.

— აქ რეჟიმის მძვინვარების წლებში ჩამოსვლას. საბჭოთა ხელისუფლების სანდო ხელსაწყო ან განიცდიდნენ?

— რა თქმა უნდა. საერთოდ, იმ პერიოდში ხალხს პრობლემები არ აკლდა. მათი ჩამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ მე დავიბადე, თბილისში. ორი წლისა ვიყავი, როცა დედაჩემმა შესაბამის ინსტანციას წერილობითი თხოვნით მიმართა, რათა მისთვის შვილთან ერთად საფრანგეთში გამგზავრებისად და მშობლების მონახულების ნება დაერთოთ. ასეთი პასუხი მიიღო: „შეგიძლიათ ნახვიდეთ, მაგრამ უკან აღარ დაბრუნდებით. საზღვარგარეთ შვილის გაყვანას კი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებთ, თუ ის გოგონაა“. თავი არც კი შეუწყობიათ თხოვნა ნაკეთობათ — იქ ხომ მითითებული იყო, რომ მე ვაჟი ვიყავი. დედამ ჩვენს დატოვებაზე უარი თქვა და აღარ გაემგზავრა. საბჭოთა კავშირში მცხოვრები ოჯახისთვის საზღვარგარეთ მყოფ ნათესავებთან ურთიერთობა ძალიან სახიფათო იყო, ამიტომ ჩემს იქაურ ბებია-ბაბუასთან მიწერ-მონერა თითქმის შეწყვეტით. წელიწადში თითო წერილი თუ მოდიოდა, ვპასუხობდით ძალიან ზოგად-



ად. ოცდასამი წლის მანძილზე დედაჩემი მონყვეტილი იყო თავის სამშობლოს და მხოლოდ 1957 წელს მისცეს გამგზავრების უფლება. მამას ვეღარ ჩაუსწრო. ბაბუაჩემი, პიერ ბრუსი — გობელენების მხატვარი იყო — რამდენიმე წლით ადრე გარდაიცვალა.

— მამა, თავისი პროფესიიდან გამომდინარე ალბათ ბევრს მოგზაურობდა, არაერთ საბჭოთა ქალაქში მოგინიათ ცხოვრება...

— სკოლაში ერევანში შევედი, მანამდე ბაქოში ვცხოვრობდით. უმაღლესი განათლება კი უკრაინაში, ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივიღე. იქ ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მაშინ, რამდენჯერმე მიმინვია ბეზიაჩემმა — ყოველთვის უარს მეუბნებოდნენ. ერთხელ, მესამე კუსზე რომ ვიყავი, ბებია ბარონის უნივერსიტეტისგან გამოითხოვა თანხმობა, ერთწლიანი სასწავლო კურსი იქ გამეგლო. მაშინ ლვოვის უნივერსიტეტის რექტორთან ვითხოვე შეხვედრა. ავუსხენი ვითარება და ვუთხარი, რომ ცოდნის გადრეკების მიზნით, კარგი იქნებოდა საფრანგეთში გამგზავრება, ამისთვის ყველაფერი მზადაა-მეთქი. მხოლოდ ერთი ფრაზით მიპასუხა: „არა, თქვენ, ჩვენს უნივერსიტეტს დაამთავრებთ“. სწავლის პერიოდშივე გავიცანი ჩემი მეუღლე, სვეტლანა. ის უკრაინელია და იმავე სასწავლებელში, რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე სწავლობდა. თბილისში დავექორწინდი და ქალვაჟი შევევძინა.

— ახლა სად ცხოვრობთ?

— ქალაქ ნანტიში ვცხოვრობთ. ის სიდიდით მეოთხე ქალაქია საფრანგეთში. სიხვედრითაა მარჯობს, ნანტი ყოველწლიურად დაბადების ადგილია. როცა თერთმეტი წლის ვიყავი, ფანტასტიკური ტექსტის წერა დავინწყე და ჩემს მამიდასწავილს, არჩილს ვუკითხავდი. ის კი თავის შთაბეჭდილებებს მიზიარებდა. მაშინ არ წარმომედგინა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სწორედ ჟიულ ვერნის მშობლიურ ქალაქში აღმოვჩნდებოდი...

— რამდენადაც ვიცით, ლიტერატურული გზა ყურნალისტიკით დაიწყო...

— „ბედმა გამიღიმა“ და წელიწადნახევარი, როგორც ყურნალისტიკა, ვიმუშავებ გზებში, რომელსაც ერქვა „მოლოდინი სტოლინეც“. სტალინისტი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ არჩევანი არ მქონდა. იმ წლებში დავინტერესდი ქართული ფერწერით და გავიცანი ლადო გუდიაშვილი. შეიძლება ითქვას, დავემგობრდით. წლების განმავლობაში მრავალჯერ შევხვედით ერთმანეთს. ლადო გუდიაშვილზე, ნათელა იანქოშვილზე, დავით კაკაბაძეზე პატარა-პატარა სტატიებს ვაქვეყნებდი. ძალიან მიზიდავდა ფიროსმანი...

— სანამ თქვენს სამწერლო და მთარგმნელობით მოღვაწეობაზე გადავიდოდეთ, მინდა სამეცნიერო-პედაგოგიკური საქმიანობაზე გკითხოთ. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თარგმანის პრეზენტაციაზე ბრძანეთ, სადოქტორო ხარისხი ორჯერ დავიცავით — რატომ ორჯერ?

— ეს სხვადასხვა თემაზე დაცული ორი დისერტაციაა. 1990 წელს, თბილისის სახ-

გასტონ ბუაჩიძე: „მიკვირს, ჩემი არცერთი უცხოენოვანი ნიგნი ქართულად თარგმნილი არ არის“

ახლახან თბილისის ალექსანდრე დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრში მწერლისა და მთარგმნელის, გასტონ ბუაჩიძის ახალი ნიგნის პრეზენტაცია გაიმართა. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების კრებული — „ლექსები და პროზა“ — ფრანგულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა. აღმოვაჩინე, რომ აქამდე ილია ფრანგულად არავის უთარგმნიაო, თქვა, და ქართულ კლასიკოსთან ფრანგი მკითხველის პირველი შეხვედრა განახორციელა. ბატონო გასტონი ათწლეულების მანძილზე შრომობს იმისთვის, რომ ევროპულ მკითხველს ქართული კულტურა, ლიტერატურა გააცნოს. თუმცა, მისი მრავალმხრივი ლიტერატურული მოღვაწეობა, კიდევ სხვა არაერთ მიმართულებას მოიცავს. ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე დაწერილი ნიგნები, თარგმანები... ყოველი ახალი ლიტერატურული ნაშრომი მკვებარად აქტუალური და თანადროულია, და საერთოდ, მისი შემოქმედება სიცოცხლის გასაოცარ ნიშანს ატარებს. ალბათ, ამიტომ შეძლო ასე ბევრი გაეკეთებინა საქართველოსთვის და საფრანგეთისთვისაც. პრეზენტაციაზე, პროფესორმა რისმაგ გორდენიანმა გასტონ ბუაჩიძის შესახებ თქვა: 'ჩვენ წინაშე დგას ადამიანი, რომელმაც გააკეთა იმხელა საქმე, ერთი ინსტიტუტი რომ ვერ მოერეოდა'...



ელმწიფო უნივერსიტეტში პირველი სადოქტორო დავიცავი, ჩემი ნაშრომი ფრანგ პოეტს, გიომ აპოლინერს ეძღვნებოდა; ხოლო შემდეგ, 1995 წელს, სორონამი წარვადგინე თემა: „წვლილი ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისთვის“. ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ საფრანგეთის უმაღლეს სასაგებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობა შემძლებოდა. წლების მანძილზე ნანტის უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს...

— თქვენი საუნივერსიტეტო კვლევები დღეს ნიგნებადა გამოცემული, მათ თავისი მკითხველი ჰყავს. სხვათა შორის, რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ადრეული ნაშრომი, ფრანგი მწერლის რეტიფ დე ლა ბრეტონის შესახებ, ერთადერთი რუსულენოვანი ნიგნია ამ ავტორზე... მაგრამ ახლა, მინდა ვისაუბროთ იმ ლიტერატურაზე, რომელსაც, წლების მანძილზე, სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ქმნიდით და რომელიც მკითხველთა საკმაოდ ფართე წრეს იზიდავს...

— ხშირად მითქვამს და ახლაც ვაკვირვებ: სამეცნიერო მწერალი ვარ. ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე ვწერ. ქართულად გამოქვეყნებული მაქვს სტატიებისა და ესეების კრებული „მონმარტიდან მთანმინდამდე“, ასევე, ორტომეული, სახელწოდებით „ნახნაგები“. რაც შეეხება ნიგნებს — „მარი ბროსეს ცხოვრება“ და „ფიროსმანი ანუ ირმის განავარდება — ქართული ფერწერის ნაამბობი“ რუსულად დაწერილი ნიგნებია. „ბროსე“ მოგვიანებით ფრანგულადაც ითარგმნა და გამოიცა. რამდენადაც ვიცო, ახლა მისი ანთრედ გამოცემა იგეგმება. „ფიროსმანი ანუ ირმის განავარდება“ უძვირფასესია ჩემთვის. იგი 1981 წელს გამოიცა. მაშინ, საბჭოთა დროს, ხელოვნებისადმი მიძღვნილი ნიგნების ტირაჟი ხუთი-ათი ათას არ აღემატებოდა, „ფიროსმანი“ კი ასი ათას ეგზემპლარად დაიბეჭდა. ძალიან მოხარული ვიქნებო, თუ მას ქართველი გამოცემელი გამოუჩნდება. ფიროსმანი ყველას აინტერესებს და ვფიქრობ, ნიგნი თავის მკითხველს დღესაც იპოვს. გასაკვირია, რომ ნიგნები მარი ბროსესა და ფიროსმანზე ქართულად თარგმნილი დღემდე არ არის. დრო თანდათან გადის, სხვადასხვა თემებზე ვმუშაობ, იმის არც დრო მრჩება, არც სურვილი მაქვს, რომ გამოცემული თვითონ ვეძებო. ვფიქრობ, მათ უნდა მიპოვონ.

— ქართულ ფერწერაზე ვსაუბრობდით... მგონი, „ფიროსმანი ანუ ირმის განავარდება“ ტრილოგიის ნაწილია...

— დიახ, ამ ნიგნის გარდა, მაშინდელ პერიოდიკაში - „საბჭოთა ხელოვნება“ და „ლიტერატურაზე“ გრუზია“, გამოვქვეყნე ფრაგმენტები ნიგნებიდან „ლადო გუდიაშვილი ანუ ფრესკის ზმანება“ და „დავით კაკაბაძე ანუ იმერეთის კვადრატები“. ეს ორი უკანასკნელი ჯერ არ დაბეჭდილა. სადღეისოდ, ტექსტები გადავამუშავე და ტრილოგიის გამოცემას განახლებული სახით ვისურვებდი. გამოცემას ასეთი სახელი შევეწივი — „სადღეგრძელო თევზით“.

— ეს ხომ ფიროსმანის ერთ-ერთი სურათის სიუჟეტიცაა, ასეთი სათაური რატომ შეარჩიეთ?


— ფიროსმანის ნახატზე გამოსახული კაცი, რომელიც დგას თევზით ხელში, თევზი ზევით აქვს აწეული. იგი ძალიან ჰგავს ფიროსმანს. საგადაუდოდ, ეს მისი ავტოპორტრეტი უნდა იყოს. რამდენადაც ვიცი, ქართულ სუფრაზე ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. არ მინახავს თამადა, ყანწის მაგივრად თევზით რომ ამბობდეს სადღეგრძელო. ეს სიუჟეტი ძალიან სინტრექსულად მომეჩვენა. მოგესხენებოთ თევზი დუმს, არ ლაპარაკობს. მხატველს შეუძლია მოუსმინოს ფიროსმანის თევზს და გაიგოს რისი თქმა უნდა. ერთგვარი სიურეალისტური ნახატია, ერთგვარი სიმბოლოა ფერწერისა — ფერწერაც დუმს და მას უნდა მოუსმინოს. ეს მოსმენის შეთავაზებაა. ამიტომაც ვიფიქრე, „სადღეგრძელო თევზით“ კარგი სათაური იქნებოდა. ბოლო დროს, ვფიქრობ შესაძლებლობაზე, ტრილოგია ტეტრალოგიად ვაქციო. მეოთხე ნიგნს რუსულად ფეტილავის შესახებ შემოქმედებას ვიფიქრებ. მისი ნაშუქვრები ძალიან მომწონს, მან მრავალი ილუსტრაცია შექმნა ჩემი ნიგნებისთვის.

— თქვენს შემოქმედებაში კიდევ ერთი ტრილოგია არსებობს, „ფეხდაფეხ“ ჰქვია. მას მხატვრობასთან კავშირი არ აქვს, იგი ქართულ-ფრანგული ისტორიული კავშირებზე მოგვითხრობს და ამავედროულად, შეიცავს საინტერესო ინფორმაციას რუსეთის შესახებ.

— ეს გახლავთ სამტომეული, რომელიც ოცდაათი წელი იწერებოდა. იგი მარკიზ დე კიუსტენის, ალექსანდრე დიუმასა და ანდრე ჟიდის მოგზაურობაზე გვიამბობს. როცა საუნივერსიტეტო საქმიანობა დავასრულე, ერთი პარიზელი გამოცემული დამიკავშირდა, მასთან გავაფორმე ხელშეკრულება სამტომეულის გამოცემის თაობაზე. „ჰერმანი“ კარგი გამოცემლობაა, ძირითადად მხატვრულ ლიტერატურას ბეჭდავს, გამოცემული აქვთ დენი დიდროს სრული შემოქმედება, ალექსანდრე დიუმა და ა.შ. „ფეხდაფეხ“ 2004-2005 წლებში გამოიცა. ტრილოგიის პირველი ნიგნი მარკიზ დე კიუსტენის შესახებაა. იგი საქართველოში არ ყოფილა. ამ პიროვნებებთან რატომ დავინტერესდით? კიუსტენმა 1839 წელს რუსეთში იმოგზაურა. სურვილი ჰქონდა იმპერიისთვის ხობა შეესხა, მონარქია ედებინა, მაგრამ დაინახა, რომ ნიკოლოზ პირველის სახელმწიფოში შიში გამეფებულიყო. შემდეგ დაბრუნდა და დაწერა ორტომეული, რომელიც დღეს ხშირად ლაპარაკობენ...

— სად - ევროპაში თუ რუსეთში?

— მარკიზი დე კიუსტენის მიერ XIX საუკუნის დასწყისში დანახული რუსული სინამდვილე და ნიგნში გადმოცემული შთაბეჭდილებები ევროპაში დიდ ინტერესს იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურმა სტუმრად სულ ერთ-ორი თვე დაჰყო, მანინც ძალიან ნათელი გონებით, ფხიზელი თვლით შეაფასა იქაურობა. და საუკუნის შემდეგ, ბოლშევიკური რუსეთი — ფრანგი ავტორის მიერ აღწერილი რუსეთი აღმოჩნდა. მარკიზი დე კიუსტენის



„მოგზაურობის“ სრული თარგმანი 2000 წლამდე რუსეთში არ დაბეჭდილა. ტრილოგიის მეორე ნიგნი ალექსანდრე დიუმას კავკასიასა და საქართველოში მოგზაურობას ეხება. კომუნიტურ ხანაში, აკრძალული ლიტერატურის სიაში შედიოდა, ასევე, ანდრე ჟიდის „საბჭოთა კავშირიდან დაბრუნება“. ამის შესახებ ტრილოგიის მეორე ნიგნი საუბარი. საბჭოთა კავშირში ჟიდი 1936 წელს ჩავიდა, იქამდე ეს ქვეყანა იდეალურად წარმოედგინა, მაგრამ მისი იდეალები მალევე დაიმსხვრა. ანდრე ჟიდი რუსეთიდან საქართველოს ეწვია, თბილისიდან ბათუმამდე მასთან ერთად ტიციანმა და პაოლომ იმოგზაურეს. 1937 წელს, როცა ჟიდის ცნობილი ნიგნი გამოვიდა, პაოლო იაშვილი მიხვდა რაც ელოდა და თავი მოიკლა. შემდეგ ბერიამ დაიბარა ტიციანი და უთხრა, პაოლო უკვე ცოცხალი აღარ არის, საჯაროდ თქვი, რომ ის ხალხის მტერი იყო. უპასუხა: „ამას ვერ ვიზამ“. ის დააპატიმრეს და უკვალოდ გააქრეს... როცა ამ ნიგნს ვამზადებდი, ქალბატონ ნიტა ტაბიძეს ვესაუბრე, მან ძალიან საინტერესო ამბები მომიტხრო, რისთვისაც მადლობელი ვარ. ძალიან ბუნებრივი იქნებოდა, სამივე ტომი ქართულად თარგმნილიყო.

— ფეხდაფეხ „ხომ საქართველოს უკავშირდება, საქართველოზე გვიამბობს, თარგმანი რატომ არ არის? —

— არ ვიცი, მიკვირებს. „მარი ბროსეს ცხოვრება“ არ თარგმნილა. უცნაურია, ჩემი არცერთი უცხოენოვანი ნიგნი ქართულად თარგმნილი არ არის. საერთოდ, ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობა სრულიად განზე დგას ჩემი საუნივერსიტეტო სწავლებისა და კვლევისგან. სხვაა ჩემი ნაშრომები და სულ სხვა — ჩემი ნიგნები. ეს ლიტერატურული ნაწარმოებებია, განკუთვნილი ფართო მკითხველისთვის. სრულიად ჩაბმული ვარ წერაში, თარგმანში. მირჩევენა ვიწერო, გამომცემლებს კი მივანღო — მონმართონ, შემომთავაზონ...

— იხევა ახლახან გამართულ პრეზენტაციას გავიხსენებ — თქვენ ნახევარდღუმრობით ბრძანეთ, საქართველო ევროკავშირში პირველად მე შევიყვანეთ, როგორ „მოხდა“ ეს? —

— ბრიუსელში გამოცემულია მრავალტომიანი (თხუთმეტი ნიგნისგან შედგება), რომელსაც „ევროპის ლიტერატურის საგანძური“ ჰქვია. იბეჭდებოდა 1980-2000 წლებში. მისი მოძიება საფრანგეთის ყველა საუნივერსიტეტო ბიბ-



ლიოთეკაში შეიძლება. გამოცემის ოთხსუთ ტომში შესულია ქართული მწერლობა — ჩემს მიერ თარგმნილი ფრაგმენტები „შუშანიკის წამებიდან“ თანამედროვე ნაწარმოებების ჩათვლით. თავმდაბლად და ამავე დროს სიხარულით ვიტყვი, რომ ეს იყო საქართველოს პირველი „შესვლა“ ევროპის ლიტერატურულ კავშირში. გამოცემის ბოლო ტომში კი, ძირითადად, სტატიები და წერილებია განთავსებული. იქ ერთი თავი მივუძღვენი თემას — საქართველო ევროპის გზაზე. გარდა ამისა, პარიზში, რამდენიმე წლის წინ, გამოიცა ერთტომიანი სახელწოდებით „ევროპული მწერლობა“. ეს გახლავთ კრებული პატარა-პატარა სტატიებისა ყველაზე გამორჩეულ, ცნობილ ავტორებზე. როცა ამ ნიგნის მეორე, განახლებულ რედაქციას ამზადებდნენ, დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს, რომელიმე ქართველი მწერლის შესახებ წერილი მომემზადებინა. ავირჩიე ქაბუა ამირეჯიბი და მისი „დათა თუთაშხია“. „ევროპული მწერლობის“ ეს გამოცემა 2007 წელს დაიბეჭდა. ეს მეორე „შესვლა“ იყო ევროპაში. ახლა ველოდები მესამედ და, იმას, ნამდვილად როდის გახდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა. პრეზენტაციებზე ვთქვი და გავიმეორებ — ეს იქნებოდა საუკეთესო ხვედრი საქართველოსთვის. მოგეხსენებათ, იგი ერთ-ერთი ბუნებრივი აკვანია ევროპის ცივილიზაციისა. ამ გაერთიანებაში შესვლა, მას არაფრით დაუკარგავდა სახეს, პირიქით, მოუტანდა მშვეინობას და მისცემდა შესაძლებლობას, განეერთებინა და მსოფლიოსთვის ეჩვენებინა თავისი თვითმყოფადობა.

— თითქოს ქართულ-ფრანგულ კულტურებს შორის დგახართ და მათ ერთმანეთთან აკავშირებთ, აერთიანებთ. საინტერესოა, რამდენად იზიარებთ თქვენს სულისკვეთებას საფრანგეთში მცხოვრები ქართული ემიგრაცია... —

— პირადად მე თავს ემიგრანტად არ ვგრძნობ. — **ეს არც მიგულისხმია... —**

— საფრანგეთი ჩემი დედუღეთია, საქართველო ჩემი სამშობლოა. ასე რომ, საქართველოში ვარ თუ საფრანგეთში, ყოველთვის ჩემს მშობლიურ ნიდაგზე ვდგავარ. ქართულ ემიგრაციასთან, პრაქტიკულად, კავშირი არც მაქვს. იშვიათად ვხვდები მათ. თუმცა, რამდენიმე იქაური ქართველი მიკავშირდება ხოლმე, ისინი თვალს ადევნებენ ჩემს საქმიანობას. ფრანგულ ელექტრონულ საიტებზე რომ შეხვიდეთ, ნახავთ, იქ დაახლოებით თორმეტი გვერდი ჩემს ლიტერატურულ მოღვაწეობას ეთმობა. ქართულ საიტებზე კი მე არ ვარსებობ.

— ფრანგი მკითხველის შესახებ მიინდა გკითხოთ — რამდენად აქტიური მკითხველი გყავთ? თქვენს მიერ შეთავაზებული ქართული „მასალა“ თუ აინტერესებთ? —

— ჩემი ნიგნები დიდი ტირაჟით არ გამოიცემა, თუმცა საქართველო სულ უფრო საინტერესო ქვეყანა ხდება ევროპისთვის და რასაც გამოიცემ, იყიდება. ფრანგ მკითხველს ჩემთან, როგორც ავტორთან, ურთიერთობის სურვილი არაერთხელ გამომუხატავს. ნიგნის ნაკითხვის შემდეგ შთაბეჭდილებებს მიზიარებენ. ბევრს ფრანგები თავშეკავებული, ნაკლებად მოცინიერი ხალხი ჰგონია, ზოგიც „მუნებს“ ეძახის, მაგრამ მე ძალიან გულუხვი ადამიანები შემხვდა, ჩემი ნიგნების შესახებ ისეთ სიტყვებს მუხებნიან, სხვისგან რომ არ მომისმენია.

— უკვე ორმოცი წელია მუშაობთ საქართველოს ლიტერატურული მემკვიდრეობის თარგმანზე. უცხოელმა მკითხველმა თქვენგან არაერთი ქართველი კლასიკოსი გაიცნო. მხედველობაში მაქვს „კოლექცია ქართული მწერლობისა“ — თორმეტტომეული ფრანგულ ენაზე. რამდენიმე ტომი უკვე გამოეცა. ახლახან კი საზოგადოებას ორი ახალი ნიგნი — ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა კრებული და გალაკტიონ ტაბიძის რჩეული (სახელწოდებით „მე და ლამე“) წარუდგინეთ... —

— სანამ ამ მრავალტომეულზე ვისაუბრებდე, გავიხსენებ იმასაც, რომ 1998 წელს პარიზში გამოიცა „ქართულ პროზა“, რომელშიც წარმოდგენილია ჩემს მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი ყველა ეპოქის საუკეთესო ქართველი ავტორები

იაკობ ცურტაველიდან ჭაბუა ამირეჯიბის ჩათვლით. რაც შეეხება „კოლექციას“, როგორც იტყვა, უკვე გამოცემულია რამდენიმე ტომი. ესენია: „ქართული ზღაპრები“, რომელიც რუსუდან ფეტვიანშვილმა დაასურათა, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ამ თარგმანის თავისებურება იმაშია, რომ მასში დედნის რიტმი და რითმა დაცულია. ილუსტრაციების მხატვარი რუსუდან ფეტვიანშვილია), სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ვაჟა-ფშაველას პოემების რჩეული და ორი ახალი ნიგნი: ილია ჭავჭავაძე და გალაკტიონი...

— ილია ჭავჭავაძის „ლექსები და პროზა“ ქალაქ ნანტის მერიის მხარდაჭერით გამოიცა. რამდენად ც ვიცი, ამ ფრანგულ მუნიციპალიტეტს ქართული კულტურის პოპულარიზაციაში არაერთხელ მიუღია მონაწილეობა... —


— უკვე ოცდაათი წელია ქალაქი ნანტი თბილისთან დაძმობილებული ქალაქია. ამ წლების განმავლობაში, საქართველოსა და მისი დედაქალაქზე თავდატენილ განსაცდელებს იქაურები მუდამ ეხმაურებოდნენ. ერთი წლის წინ, როცა ქვეყანას ძალიან უჭირდა, ნანტიდან ჩამოსულ დელეგაციას ქალაქის მერი ხელმძღვანელობდა, ყველა საქმე გადადო ამ ვიზიტისთვის. თუმცა არაფერია იმაზე სასიამოვნო, ვიდრე დავხმარო ძმას გასაჭირის გადალახვამი. მანამდეც, დაძმობილების ოცი წლის თავზე, ნანტის მუნიციპალიტეტის მუზეუმმა ფიროსმანის გამოფენას უმასპინლა. კულტურის ამ მოვლენამ მაშინ მთელი საფრანგეთი მოიცვა. კატალოგიც გამოსცეს. ახლახან დაძმობილებიდან ოცდაათი წელი შესრულდა და ფრანგებმა ეს თარიღი მრავალი ღონისძიებით აღნიშნეს. ერთ-ერთი სწორედ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გამოცემის ფინანსური უზრუნველყოფა იყო.

— როცა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თარგმანს წარადგენდით, დიდხანს ისაუბრეთ მისი შემოქმედების აქტუალობაზე... —

— თვრამეტი წლის წინ ვთარგმნი ილია სანამ მუშაობას შეუდგებოდი, ვფიქრობდი: „დრო გადის, ყოვლფა კი მკითხველი ამ ტექსტებს?“ მაგრამ როცა თავიდან გადავიკითხე, გავოცდებ... რაში დღინდება ილიას აქტუალობა? რა აქვს სათქმელი მას საქართველოსთვის და აგრეთვე ევროპისთვისაც? ილია ჭავჭავაძის შემოქმედება გონივრული შემოქმედება გახლავთ. სამხრეთელები, ტემპერამენტის ხალხი ვართ, მაგრამ მას აქვს საოცრად ფხიზელი, გამჭვირავი მიდგომა ყველა საქითხის მიმართ, თვალთვალში გაყრილი დგას სინულეების წინაშე. იგი თითქოს დღესაც ცოცხალია და გვარიგებს, გვაძლევს ძვირფას რჩევებს, არცთუ ადვილად შესასრულებელს. იცით, რატომ? სიმართლის თქმა ერთი-ერთი ყველაზე რთული რამაა. ადამიანს ყველაფერი შეიძლება მოეწონოს, სიმართლის მოსმენის გარდა. ილია კი ახერხებს ამას და მის საყვარელ სამშობლოს სიმართლეს ეუბნება. „მგზავრის წერილებში“ ილია შეფარული იუპორით ამბობს სათქმელს. თუ გახსოვთ, იქ სამი მსოფლადქმა ხედება ერთმანეთს — ევროპული, რუსული, ქართული. და ილია თავის არჩევანს აკეთებს. მართალია, იგი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ტექსტიდან ჩანს — საქართველო არის ევროპა. დღეს ქვეყანა კვლავ ამ არჩევანის წინაშეა. ვფიქრობ, უპირველესად, ქართულმა აზროვნებამ უნდა გადალახოს ეს ზღვარი... ყველა ასაკის ქართველმა დროდადრო რომ გადაიკითხოს ხოლმე ჭავჭავაძის ნაწარმოებები, ძალიან სასარგებლო იქნებოდა. ილიას მოწოდება ხომ ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანია, იგი ამბობს — თქვი სიმართლე, მაგრამ სხვის აზრსაც ეცი პატივი, ნუ მიმართავ ძალადობას, საკუთარ შეხედულებებს სხვას ძალით თავს ნუ მოახვევ, თქვი და შემდეგ ხალხმა გადანყვიტოს. ევროპული მიდგომაც ასეთია.

— ნიგნის შესავალს, რომელიც ფრანგულენოვანი მკითხველისთვის დაწერეთ, უწოდეთ „არც ტყვია, არც სახრჩობელა“. რატომ აქვს ასეთი სათაური, რისი თქმა გასურდათ ამ სიტყვებით? —

— სამწუხაროდ, ილიას ცხოვრება ტყვიით დასრულდა. ეს იყო საშინელი ძალადობა. მის ტექსტებში ჩანს, რომ წინასწარ



გრძნობდა ასეთ აღსასრულს. გახსოვთ, ასევე, მისი „სახრჩობელაზედ“... ტყვიაც და სახრჩობელაც ძალადობის გამოვლინებებია. ერთი ნიშნავს ომს, მეორე — სიკვდილით დასჯას. ილია ორივეს ეწინააღმდეგებოდა, გმობდა. სადღესოდ, საქართველომაც უარი თქვა „სახრჩობელაზე“. სიკვდილით დასჯა, ისე როგორც ევროპის ქვეყნებში, აქაც გაუქმებულია. რაც შეეხება ომს, სამწუხაროდ ის ვერ ავირიდეთ, „ტყვია“ ჯერ კიდევ ჰაერშია. ილიას სურვილს ვუერთდები — ტყვია აღარ ეშუქებოდას ამ ქვეყანას. საქართველომ აირჩია გზა ევროპისკენ და არა ძალადობისკენ. ჩემთვის ახალი ევროპა იწყება იქ, სადაც მთავრდება ომი.

— ბატონო გასტონ, თორმეტტომეული სხვა რომელი ავტორებით შეავსებთ? —

— სურვილი მაქვს, პირველ ტომში ერთგვარად შევაჯამო ქართული ლიტერატურის ისტორია და ასე შევთავაზო ფრანგ მკითხველს. ვაპირებ „ვისრამიანის“ თარგმნას. სხვადასხვა ტომებად გამოიცემა, ასევე, დავით გურამიშვილის „დავითიანი“, აკაკი წერეთელის ნაწარმოებთა კრებული და ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“. ის რაც გამოეცემა, უკვე მზაა. სენეთ, გაყიდულია. ამიტომ, ცხადია, რადგან კოლექციაა, ახლიდან უნდა გამოიცეს და ერთიანი ფორმა მიეცეს.

— ბატონმა რისმა გორდეზიანმა სამართლიანად შენიშნა იმ უზარმაზარი შრომის შესახებ, რაც თქვენ წლების მანძილზე განიეთ ქართული კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის... —

— რისმაგი ჩემი მეგობარია და ასეთი გულუხვი შეფასებისთვის მისი ძალიან მადლობელი ვარ. ყოველთვის დიდი ინტერესით და სიყვარულით ვაკეთებდი ჩემს საქმეს. უკვე ორმოცი წელი გავიდა... ხშირად ვფიქრობ ხოლმე — ღიმილი ბედისა ის არის, როცა შრომობ და თან გსიამოვნებს, რასაც აკეთებ...

— თქვენი დატვირთული ლიტერატურული ცხოვრების სხვა გეგმებზე რას გვეტყვი? —

— ბევრ ტექსტზე ვმუშაობ, მაგრამ ყოველთვის უარს ვეუბნები თავს ვილაპარაკო იმაზე, რაც ჯერ არ დამიმთავრებია...

ესაუბრა თამარ შურული






**ჰომეროსი
ილიადა
აქილევსის ფარი
XVIII სიმღერა
(478-607)**

პირველად ფარი გამოჭედა, დიდი და მტკიცე, მხატვრულად მორთო, ხელოვნება არ დაიშურა, სამმაგი სალტე შემოავლო მბრწყინავი ვერცხლის, შუაგული კი ხუთ თანაბარ ნაწილად დაყო. თითოეული სურათებით უხვად მოჭედა — ჯერ გამოსახა დედამინა, ზღვა, ცის კამარა, მათ უკან, ცაზე კი — მირიად ვარსკვლავთა კონა — პლეიადები, ჰიადები და ორიონი, იქვე — არკტოსი, ამაქსოსსაც რომ უწოდებენ, თვითონაც ბრუნავს, ორიონსაც მისდევს კვალდაკვალ, მაგრამ არასდროს განბანილა ოკეანეში.

მერე დახატა მოკვდავთა ორი ლამაზი ქალაქი, პირველში — მექორნილენი და საქორნილო პურობა, ჩირალდნით განათებული სამთიბოდან პატარძლებს სიმღერით მიაცილებენ, გაყავთ ქალაქის ქუჩებში. ბიჭები წრეში ცეკვავენ, ლამის ცას მისწვდეს ფორმინგის და სალამურის ძახილი. ქალიშვილები წინკართან დგანან და თითოეული აღფრთოვანებას ვერ მალავს. აქ, აგორაზე, ხალხია, იქ — დავა წამოუნყაით, ერთს აკისრებენ მკვლელობის გამო დადგენილ საზღაურს, ისიც ამაყად აცხადებს, რომ უკვე გადაიხადა, თუმცა მეორე უარყოფს, მისი მოსმენაც არ უნდა. ორივეს სურს, რომ სიმართლე ამ შეკრებაზე გადაწყდეს, ხალხი ყაყანებს და იცავს ზოგი ერთს, ზოგი მეორეს. მომრიგებლები ცდილობენ, რომ დაამშვიდონ ისინი, უხუცესები თლილ ქვაზე საპატიო წრედ დამსხდარან და ომბახიან მაცნეებს კვერთხს სათითაოდ ართმევენ, ხალხის წინაშე გადიან, თავის განაჩენს ამცნობენ. წრის შუაგულში დევს ოქროს ორი მბრწყინავი ტალანტი, რომ მისცენ, ვისაც ერგება და მიაკუთვნებს კანონი.

მეორე ქალაქს კი ირგვლივ აბჯარასხმული ლაშქარი შემოსჯარვია და ბჭობენ, როგორ აიღონ ქალაქი — ან გაასწორონ მიწასთან, ანდა შუაზე გაიყონ მთელი ის ავლადიდება, რასაც ქალაქში იცავენ. ფარხმალს არ ყრიან დამხვდურნი, გულდაგულ ემზადებიან შეტაკებისთვის. გალავანს იცავენ ქალწულებიც და დედებიც, ხელში ჩვილებით, ასაკოვანი კაცებიც. ამათთან ერთად არიან თვით არესი და ათენა, ოქროს სამოსით შემკულნი და დაფერილი ოქროთი, ალკაზმულელები ლამაზი და დიდებული საჭურველით, როგორც დიდ ღმერთებს შეჰფერით. ხალხი კი ოდნავ მომცრო ჩანს. ყველანი ერთად მიდიან, რომ საიმედოდ ჩასაფრდნენ მდინარის პირას — იქ, სადაც ჯოგები წყურვილს იკლავენ. ჩუმად მივიდნენ და ჩასხდნენ მბრწყინავიარალასხმულნი, შორიახლოს კი, მინდორზე, ორი მზვერავი დატოვეს, რომ შეენიშნათ ცხვრები ან რქამოგრები ხარები. მწყემსებიც მალე გამოჩნდნენ. პირუტყვს ფეხდაფეხ მისდევდნენ, თავს სალამურით ირთობდნენ, საფრთხეს ვერ გრძნობდა ვერავინ.



მტრებმა, შენიშნეს თუ არა, თავს უმოწყალოდ დაესხნენ, მწყემსები ამოჟლიტეს და მუსრი გაავლეს საქონელს, ხარის ჯოგის და ცხვრის ფარის ნაწილი თან გაიყოლეს. იქვე, მოთათბირებმა რომ გაიგონეს ხმაური, ქარისფეხება ცხენები წინ გააჭენეს, გაიჭრნენ, თვალისდახამხამებაში იმ ადგილებში აღმოჩნდნენ, ფიცხელი ბრძოლა გამართეს მდინარის მალალ ნაპირთან. ერისი, კიდმოსი და კერი — პირქუში ღმერთები — იქ იყვნენ. ყველას, ცოცხლებსაც, მკვდრებსაც და ახლადდაჭრილებს თითქოს ფეხებით ითრევენ ამ უსასტიკეს ბრძოლაში, მხრებზე სამოსი მოკვდავთა სისხლს ნითლად შეუღებია. ზოგი კი მოკლულთა გვამებს მიათრევს ბრძოლის ველიდან, უღმობელ ომში ჩართულა გარშემო ყველა მოკვდავი.

ღმერთმა მინდორიც გამოსახა ბარაქიანი, სამგზის მოხნული, შორ სივრცეზე გადაჭიმული, ერეკებიან ხარებზემულ გუთნებს გლეხები, მინდვრის კიდეს რომ მიაღწევდნენ, მობრუნებულებს თაფლივით ტკბილი ღვინით სავსე თასებს აწვდიან; ღვინოს სვამენ და მერე ისევ კვალს აბრუნებენ, ჩქარობენ, მინდვრის კიდეს სწრაფად რომ მიაღწიონ. ხომ ყველაფერი ოქროსია, მაგრამ მოხნული შავ ზოლად რჩება — საოცრება შექმნა ჰეფესტომ.

იქვე დახატა ბატონის თვალუწვენელი მამული, სადაც მუშები მოსავალს იღებენ ბასრი ნამგლებით, მნიფე თავთუხის თაველებს ბლუჯებად ყრიან მინაზე, სხვები ფეხდაფეხ მისდევნენ და უზარმაზარ ძნებს კრავენ. სამი შემკვერელი ცალკეა. მათ მიჰყვებიან ბავშვები და აგროვებენ აქა-იქ დარჩენილ მნიფე თავთავეებს, დაულავლავად შრომობენ. მისი შემყურე ბატონიც მშვიდად ზის, კვერთხს დაყრდნობილი. ჩანს, მართლა ბედნიერია. მაცნეები კი მუხის ქვეშ ლხინისთვის ემზადებიან, მსხვერპლადშენივთ ვეება ხარს ჭრიან, ანანილებენ, ქალები თეთრ ფქვილს მტკიცავენ და მუშებს სუფრას უშლიან.

მერე ვენახი გამოსახა უკიდევანო, ოქროსფერ ზვრებში შავად ჩანდა მნიფე მტევნები, ვერცხლის ჭიგობებს მიძიმე ვაზი ეკვროდა მჭიდროდ, ირგვლივ თხრილი და კალის ლობე მოავლო ვენახს, გასავლელად კი ერთადერთი ბილიკი დარჩა — მზიდავებისთვის — მოსავალი რომ გაეტანათ. ამ გზით მხიარულ ყმანვილებს და ლამაზ ქალწულებს მტევნებით სავსე კალათები გაჰქონდათ ზვრიდან. ერთი ბავშვი კი აკვნესებდა წკრიალა ფორმინგს, უღერდა კითარა... ის მღეროდა მშვენიერ ღონზე გულსჩამწვდომად... მიდიდნენ სხვებიც, სიმღერას ფეხს აყოლებდნენ მხიარული შეძახილებით.

ხარების ჯოგიც გამოსახა რქამოგრებილი, თითოეული ოქროთი და კალით მოჭედა. ჯოგი ზმუილით ისწრაფვოდა სადგომებიდან მდინარის პირას მობიბინე ლელიანისკენ. ერეკებოდა ხარების ჯოგს გზად ოთხი მწყემსი, ცხრა მარდი ძალდი კი პატრონებს სდევდა კვალდაკვალ. მოულოდნელად თავს დაესხა ჯოგს ორი ღომი, უზარმაზარ ხარს პირი სტაცა და წაათრია. ატყადა ბლავილი და ძაღლებიც მიჰყვნენ ფეხდაფეხს, მხეცებმა ხარი გამოფატრეს, შიგნეულობას გლეჯდნენ და შავ სისხლს ხარბად სვამდნენ, ხოლო მწყემსები მათ დასაფრთხოებად აქეზებდნენ ადგზნებულ ძაღლებს, თუმცა ისინი ვერ ბედავდნენ ღომების კბენას, ახლოს უყეფდნენ, მაგრამ მაინც თავს არიდებდნენ.

ბარაქიანი საძოვარიც ასახა ღმერთმა, ცხვრის თეთრი ფარა, გაფანტული ველზე, ტყის პირას, იქვე — სადგომი — ბაკი, ჩალით გადახურული.

კოჭლმა ჰეფესტომ ერთ მხარეს ფართო ფერხული დახატა, სწორედ ისეთი, კნოსოზე რომ აუხახავს დედლოსს, რათა პატივი მიეგო მშვენიერ აფროდიტესთვის. უცოლო ყმანვილები და გასათხოვარი ქალები შეუსვენებლად ცეკვავდნენ, ხელიხელჩაკიდებულნი. ქალწულებს თხელი კაბები, ვაჟებს — ქიტონი ემოსათ, უზადოდ, წმინდად ნაქსოვი, ზეთნასმული და მზინვარე. თავს უმშვენებდა ზოგიერთს იქვე დაწული გვირგვინი და ზოგს კი ვერცხლის თასმებზე ეკიდა ოქროს მახვილი. ფერხულში ყველა ჩაბმულა და შესაშურად ტრიალებს, ისევე მოხერხებულად, როგორც მეთუნე ცდილობს, რომ დაიმორჩილოს ბორბალი და გამოძერწოს ქოთანნი. სხვაგვარად აირეოდა მოცეკვავთა რიგები. ალტკინებული ხალხი კი ამ ფერხულს გარს შემორტყმოდა, წრის შუაგულში ცეკვავდა ორი მოქნილი ყმანვილი, ფეხს აყოლებდა სიმღერას, მალაყებს გადადიოდა.

ბოლოს კი ღმერთმა მდინარით და ოკეანით მოჭედა ფარის გარშემო რკალები და დაასრულა ქმნილება.

თარგმანა ქეთი ნიჟარაძე

ლიტერატურული გაზეთი
 გამომდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
 რედაქტორი **ირაკლი ჯავახიძე**
 რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
 ჟურნალისტიკა **ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ყურული**
 ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com